ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  ხუთშაბათი, 19 ივნისი 1997 №70 (435)  ფასი 40 თეთრი


## ჩემპიონთა ლიგა

# მირაჟი?

## თბილისის „დინამოს“ მომავალ ჩემპიონთა თასზე თამაში სათუო გაუხდა

კატოვიცეში ეროვნული გუნდის კრახმა რაიმე სახეირო იმედის ნატამალიც კი ჩაკლა და ისედაც გულგატეხილ გულშემატკივარს ლამის ყველაფერზე ხელი ჩააქნევინა. ფეხბურთის ქომაგთ ნუგეშად და მცირე იმედად ჩვენი გუნდების ევროტურნირებში მონაწილეობაღა დარჩათ — იქნებ გველირსოს და ჩვენი „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში გაძვრესო. ცოტა არ იყოს, უტოპიური ნაფიქრალი კი გამოდიოდა, მაგრამ მაინც იმედოვნებდნენ. გუშინ კი თბილისში ისეთი ხმა დაირხა, ვგონებთ, მართლა დაგვდგომია ჩვენი ფეხბურთის ჭირისუფლობის ჟამი. თუ ქალაქში, ფეხბურთის ფედერაციაში და სპეციალისტებში დარხეულ ხმებს ვერწმუნებით, არ არის გამორიცხული, ფიფამ და უეფამ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს თბილისის „დინამოს“ ჩემპიონთა თასზე თამაშის უფლება ჩამოართვას. მარტო უფლების ჩამორთმევას ვინ ჩივის, შეიძლება, კლუბი სულ დაშალონო. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, უკვე გათამაშებიდან მოგვხსნესო. მაინც რა დაუშავა „დინამომ“ ისეთი, ესოდენ სანქციებზე რომ ალაპარკდა ხალხი. თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ უეფამ „დინამო“ ერთხელ უკვე შერისხა „ლინფილდთან“ შეხვედრისას. გეხსომებათ, მაშინ ერთწლიანი მოკვეთა გვაკმარეს, ახლა კი ვითარება ნათლად რომ წარმოჩინდეს, უმჯობესია, თავიდან და წვრილად მოგყვეთ.

მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე, 1992 წელს თბილისის „დინამომ“ ქვეყნის შიდა საფეხბურთო ბაზარზე მანამდე არნახული ტრანსფერი განახორციელა: საფეხბურთო კლუბ „მრეტებისგან“ მილიონ რუსულ რუბლად გიორგი ქინქლაძე შეიძინა. ერთი შეხედვით ამ ამბავში უცნაური არც არაფერია, მაგრამ „მრეტების“ იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ვაჟა ჩხაიძემ „დინამოს“ მაშინდელ ხელმძღვანელებთან ერთად ისეთ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელიც ადრეც და ახლაც დავიდარაბის საგანია. კერძოდ, კონტრაქტში ჩაიდო მუხლი, რომლის თანახმადაც, თუ „დინამო“ გიორგი ქინქლაძის უცხოეთში გაყიდვას მოინდომებდა და საქმესაც გაჩარხავდა, მაშინ ფეხბურთელის ტრანსფერში აღებული თანხის 50 პროცენტი ავტომატურად „მრეტების“ ანგარიშზე უნდა გადარიცხულიყო. „დინამოს“ მაშინდელ ხელმძღვანელობას არც უფიქრია, რომ ერთი ჩვეულებრივი, იმედისმომცემი ბიჭი მალე დიდი ფეხბურთის კარს შეაღებდა, ვარსკვლავი გახდებოდა, დიდი საფეხბურთო ტრადიციებით თავმომწონე მანჩესტერში დაფუძნდებოდა და, შესაბამისად, დიდი ფასიც დაედებოდა. ჩხაიძემ, რომელიც ორი წელი აკვირდებოდა ქინქლაძეს, ყველაფერი გაითვალისწინა. ეს ბიჭი ბევრს მიაღწევსო, ქადაგებდა და აკი აუხდა კიდეც. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჩხაიძემ საქართველო დატოვა, გერმანიაში ცხოვრება და საქმიანობა ირჩია. თბილისში იშვიათად შემოივლიდა, უმეტესად ტელეფონით უძღვებოდა „მრეტებს“. „დინამოშიც“ ბევრი რამ შეიცვალა. კლუბი მერაბ ჟორდანიამ ჩაიბარა და ქინქლაძემაც მანჩესტერულ „სიტიში“ ამოჰყო თავი. ტრანსფერი მეტად სოლიდური, არც ერთ ქართველს რომ არ ღირსებია, ისეთი გამოდგა. ცხადია, ვაჟა ჩხაიძემ ცოტა შეიცადა და მერე ჟორდანიას კუთვნილი ფული მოსთხოვა. საქმე გართულდა. მერაბ ჟორდანიამ ალბათ მაშინ პირველად გაიგო მეტად უსიამოვნო კონტრაქტის არსებობა. ჩხაიძემ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ საქმეში ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია ჩაერია და საქმეც გაარჩია. ფედერაციის მაშინდელი გადაწყვეტილებით, ჩხაიძე გამართლდა და „დინამოს“ ქინქლაძის ტრანსფერიდან 50 პროცენტის გადახდა დაეკისრა. ამ ამბის შემდეგ „მრეტების“ პრეზიდენტი საქართველოში არ ჩამოსულა.

მაინც რა თანხაზეა დავა-კამათი? არცთუ ცოტაზე — 750 ათას დოლარზე. რადგან ჩხაიძემ ამ ხნის განმავლობაში ვერაფერი მიიღო, არც აცია, არც აცხელა და სარჩელი პირდაპირ ფიფაში წარადგინა. ამით კი ქართული ფეხბურთი დაზარალდა: ფიფამ, ცხადია, ახსნა-განმარტება ჩვენი ფეხბურთის ფედერაციისგან მოითხოვა. ამათაც ყველაფერი ისე უცნობებიათ ზემდგომი ორგანოსთვის, როგორც წესი და რიგი ითხოვდა: ეს ყველაფერი გასაგები კია, მაგრამ რატომ მალავდნენ ჩვენი ფეხბურთის მესვეურნი ამ ყოველივეს, გაუგებარია.

მოკლედ, საქმეში ფიფაც ჩაერია და ზომებიც მიიღო. არა, ჯერჯერობით „დინამო“ ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან არ გამოუგდიათ. ეს გუშინ უეფას პრესსამსახურის წარმომადგენელმაც დაგვიდასტურა სატელეფონო საუბრისას.

დიახ, ჯერჯერობით ეს ჭორი გამოდგა, მაგრამ თუ შესაბამისი ზომები არ მივიღეთ, ჩემპიონთა თასს ვინ ჩივის, უარესი მოგველისო. კერძოდ, ფიფა „დინამოს“, მერე კი ფედერაციას აფრთხილებს, თუ ვალი არ გადაიხდება, გადამჭრელ ზომებს მივიღებთო.

ფიფამ ვადა 30 ივნისამდე დათქვა. ეს პირველი გაფრთხილება გახლავთ. თუ ამ ვადაში ფული არ იქნება გადახდილი, ფიფა კიდევ 15 დღეს დაამატებს, თუ ამ დრომაც არ იკმარა, მერე კიდევ ერთი თვეც დაემატება ვალის გასასტუმრებლად. მეორე და მესამე გადავადება იმ შემთხვევაში ხერხდება, თუ ამას თავად „დინამოს“ ცოდვაში ჩამდგარი ვაჟა ჩხაიძე მოინდომებს. თუ არა, პირველი ვადის გასვლის შემდეგ გადასახდელ თანხას 10 პროცენტი დაემატება, მეორე ვადის გასვლის შემდეგ კი საქმეს გაარჩევს ფიფას სადისციპლინო კომიტეტი. იქ მოხვედრას კი მტერს არ უსურვებს კაცი.

## ხვალ ბევრი გაირკვევა

ხვალ, 14 საათზე ფეხბურთის ფედერაციაში აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართება. ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის დებულება და გათამაშების კალენდარი უნდა დამტკიცებულიყო. უნდა გარჩეულიყო სხვა მეტნაკლებად საჭირბოროტო საკითხებიც, მაგრამ მოულოდნელად დღის წესრიგს კიდევ ერთი — ეროვნული ნაკრების პოლონური ფიასკოსა და მისი მომავლის საკითხიც დაემატა.



„მერანის“ ერთ-ერთი იმედი დათო გოდერძიშვილი

გურამ ცერცვაძის ფოტო

# „მერანს“ არ ეშინია

მოგეხსენებათ, ახლა ფეხბურთში არდადეგებია, გუნდები ისვენებენ და სწორედ ეს გახლავთ ინტერტოტოსთვის სამზადისში მყოფი „მერანის“ თავკაცთა თავსატეხი. იმ დროს, როდესაც თბილისელთა პირველმა მეტოქემ მოსკოვის „ტორპედომ“ თანაქალაქელ დინამოელებთან უპრინციპულესი შეხვედრით მშვენიერი რეპეტიცია მოიწყო, ჩვენმა გუნდი ვერ მოიძებნა, „მერანს“ საერთაშორისო მატჩის წინ პარტნიორობას რომ გაუწევდა. თავიდან „მერანის“ მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე იმედოვნებდა, რომ I ჯგუფში გადახულ „ლოკომოტივს“ მაინც შეხვდებოდა, მაგრამ რკინიგზელები ამჟამად ისვენებენ და მწვრთნელს იმედი გადაეწურა. მერე მეორეჯგუფელ 35-ე სკოლასთან თამაშის ვარიანტი გამოჩნდა, თუმცა, ბოლოს ისევ ორმხრივი მატჩი ამჯობინეს. ეს თამაში გუშინ 5 საათზე დაიწყო, რადგან 7 საათზე მოსკოვის „ტორპედოს“ და „დინამოს“ მატჩის ტელეტრანსლაცია იწყებოდა და მახარაძეს სურდა, მოთამაშეებთან ერთად ენახა ეს შეხვედრა.

სანამ ორმხრივზე მოგითხრობდეთ, მანამდელ ამბებს გეტყვით. ფეხნატკენი მეკარე გუბაზ დოლიძე უკვე სრულად მომჯობინდა. სამაგიეროდ, მიზეზთა გამო საკითხავი შეიქნა, შეძლებს თუ არა გაჰყვეს გუნდს სტუმრად თამაშისას მეორე მეკარე რეზო ნაჭყებია, რომელიც ამჟამად სამხედრო სამსახურშია. თუმცა, მეკარე „მერანისთვის“ პრობლემა არ გახლავთ — ვეფხია გვენცაძეც ხომ თბილისელებთან ემზადება. წინა დღეს კვლავ გაუმიზეზდა ნატკენი ფეხი გივი ქველაძეს და ღამით თურმე ტკივილებს ძალიანაც შეუწუხებია. მოსკოველებთან ჩემი თამაში გამორიცხულია. იმედი მაქვს, მეორე შეხვედრისთვის მაინც მოვმჯობინდებიო, თქვა გივიმ. გოგობერიშვილმა კი სწორედ გუშინ განაახლა ვარჯიში, სრულად კი დღეიდან დაიტვირთება. ბათუმში გაემგზავრა გოჩა ტრაპაიძე, რომელმაც თავს ყოფილ გუნდთან საქმე-ანგარიშები უნდა გაასწოროს.

მოთელვის შემდეგ მოთამაშენი ორად გაიყვნენ და თამაშიც დაიწყო.

გასაკვირი არც იყო და, ამის თქმა მატჩის უნახავადაც შეიძლებოდა, რომ ახლა, „ტორპედოსთან“ შეხვედრამდე ყველა ვარჯიშსა თუ საწვრთნელ შეხვედრაში მოთამაშენი მაქსიმალურად შეეცდებიან თავის გამოჩენას. ასეც მოხდა. მიუხედავად სიცხისა, ფეხბურთელებმა საკმაო ოფლი დაღვარეს.

მერანი I უკეთ გამოიყურებოდა და ოთხი უპასუხო გოლიც გაიტანა მეტოქის კარში. გოდერძიშვილმა ჰეთ-ტრიქით ისახელა თავი. პირველივე ტაიმის შემდეგ მოედანი დატოვა ალეკო გოგობერიშვილმა — მან მწვრთნელებს დასვენება სთხოვა. მეორე ტაიმში წელი აიტკია გოგიტაძემაც და ისიც დაასვენეს. ამის გამო მეორე გუნდიდან პირველში მელქაძე გადაიყვანეს, გელაძემ და რევაზიშვილმაც გუნდები გაცვალეს. კაცნაკლულ მეორეთა რიგებში კი თემურ მახარაძის ვაჟი, 17 წლის ნორჩი დინამოელი მოთიკო მახარაძე გამოჩნდა.

მატჩის შემდეგ „მერანის“ ექიმმა გარი სუკიასიანმა მითხრა, მზადება რომ დავიწყეთ, მოთამაშეები მოთენთილები იყვნენ, ჯანი აკლდათ, ახლა კი აშკარაა, რომ უკეთ გამოიყურებიანო.

საღამოს 7 საათზე კალათბურთელთა ბაზის დარბაზში მერანელები თავიანთ პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძესთან ერთად „ტორპედო“ — „დინამოს“ თამაშის საყურებლად მოემზადნენ. მანამდე კი თემურ მახარაძემ თქვა, ტარხანოვი ამბობს, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელი მყავსო. თუმცა, მთლად ასეც არ არისო; მართალიც გამოდგა. „ტორპედოს“ მეკარე ჩელნიკოვი დაშავებულია და არ ითამაშა. ტარხანოვს საკმაოდ შეეცვალა შემადგენლობა და პირველ ტაიმში ტორპედოელებს გაუჭირდათ დინამოელთა შეტევების მოგერიება, დაცვაშიც ხშირად ცდებოდნენ და ერთ-ერთი ასეთი შეცდომისას მეტოქემ ისინი გოლითაც დასაჯა. შესვენებისას თბილისელები გამოცოცხლდნენ, საერთო აზრი დაახლოებით ასეთი გახლდათ — „ტორპედო“ არც იმდენად ძლიერია, ფრეს მაინც რომ ვერ გამოვრჩეთო. მართალია, მეორე ტაიმში გამოცოცხლებულმა „ტორპედომ“ მერანელები აშკარად ჩააფიქრა, თუმცა მათ აზრი მაინც არ შეუცვლიათ.

გელა ქორიძე: მართლა ვერ ვიტყვი, რომ უძლეველი გუნდია.

კოტე მელქაძე: მაგათთან არ უნდა გაგვიჭირდეს. მართალია, ძლიერი ზანგი ჰყავთ — ალბერტო კარლოსი, მაგრამ ზანგი რომ არის, იმიტომ ხომ არ შევშინდებით. უეჭველ მოგებას გპირდებითო, ამის თქმაც გადამეტებული იქნებოდა, თუმცა დაუმარცხებლებს ნაღდად არ ჰგავდნენ.

მერაბ დოლიძე: ის ბრაზილიელი ძალიან სახიფათო ჩანს. არასტანდარტულად თამაშობს და ყველაზე მეტ ხიფათს მისგან უნდა ველოდოთ. კარგადაც ურტყამს. ტორპედოელების თამაშმა მათზე კარგი, დაუმარცხებელი გუნდის შთაბეჭდილება არ დამიტოვა. თუმცა სველმა მინდორმა მათ საუკეთესო თვისებების გამოვლენის საშუალება არ მისცა.

თემურ მახარაძე: თავი რომ დავანებოთ ტორპედოელთა კარგ ფიზიკურ მომზადებას, ისინი ტექნიკურ ფეხბურთსაც თამაშობენ. უპირველესად კარლოსს ავღნიშნავ, რომელსაც მოქმედების დიდი დიაპაზონი აქვს. ხოხლოვიც მომეწონა, იგი მწვავე გადაცემებით გამოირჩეოდა. ერთიანობაში „ტორპედო“ ძლიერი გუნდი მეჩვენა. რა თქმა უნდა, ისინი დაცვაში რამდენჯერმე შეცდნენ. ვერ ვიტყვი, რომ მომენტს მომენტზე ქმნიდნენ-მეთქი, მაგრამ ჩვენ დღეს რუსეთის ჩემპიონატის ლიდერთა შეხვედრა ვიხილეთ, ასეთ მატჩში მეტოქის შეფასებისას კი შესაძლოა დილეტანტი შეცდეს და თქვას, რა სუსტი გუნდი ყოფილა „ტორპედოო“. ეს მცდარი აზრია. ხომ ნახეთ, მეორე ტაიმში მარცხენა ჰავბეკი პრეკშაიტისი პეტროსიანცმა შეცვალა, თუმცა ძალზე მცირე ხანს დაჰყო მოედანზე და უცებვე გამოაბრუნა ტარხანოვმა. იცით რატომ? შევნიშნე რამდენჯერმე დროულად ვერ მოძებნა პარტნიორი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ტარხანოვი დიდ ყურადღებას აქცევს სათამაშო დისციპლინის დაცვას და მის დარღვევას არავის პატიებს.

**— გასაგებია, რომ „ტორპედო“ კარგი გუნდია, მაგრამ მისი დამარცხება ხომ შეიძლება?**

— ჩემი აზრით, მათთან შესაძლებელია ჩვენი, ქართული ფეხბურთისთვის ჩვეული ნიშან-თვისებების გამოყენება, თუ დააკვირდით, ტექნიკური ილეთებით დინამოელები ტორპედოელთა დაცვაში თავისუფალ ზონებს ქმნიდნენ.

ცხადია, ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ დადებითიც გაგვაჩნია და ეს უნდა გამოვიყენოთ. ტორპედოელები ხშირად ეგებოდნენ მეტოქის ტექნიკურ ილეთზე, ფლანგებიც მთლად საიმედოდ არ ჰქონდათ ამოკეტილი. თუ ამას გამოვიყენებთ, შეიძლება წარმატების მიღწევა. საკმარისია, მოსკოველებს თავისუფლად თამაშის საშუალება მისცე, რომ უცებ გადაგივლიან, ამიტომ შევეცდებით მაქსიმალურად გავურთულოთ საქმე. რა გამოვა აქედან, 22 ივნისს გამოჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

იხილეთ მეორე გვერდი

## მიხოც ალანებს მიჰყავთ



სად და რამდენი უვლია ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფორვარდს მიხეილ აშვეთიას, „სარბიელის“ მკითხველებს კარგად მოეხსენებათ — პორტუგალიიდან დაწყებული იტალიით დამთავრებული, მაგრამ, როგორც ჩანს, მოგზაურობა ჩვენებურთათვის ტრადიციულ ნავსაყუდელში — ვლადიკავკაზში დამთავრდება. გუშინწინ სწორედ ოსეთის დედაქალაქში წავიდა პოლონელი თანატოლების კარში ორი გოლის გამტანი და თითქოს გუშინ კონტრაქტიც უნდა გაეფორმებინა „ალანიასთან“. წუხელ ვალერი გაზაევს შევეხმიანეთ, რათა პირველწყაროდან გაგვეგო მიხოს და „ალანიას“ „დაძმობილების“ ამბავი. ოსთა მწვრთნელმა გვითხრა: „არა, ჯერ კონტრაქტი არ გაგვიფორმებია, რადგან აშვეთია გუშინ ჩამოვიდა ვლადიკავკაზში, დღეს კი ჩვენ „ფაკელს“ ვეთამაშებოდით და, ბუნებრივია, მიხეილთან გასაუბრებაც კი ვერ მოვახერხე. ყველაფერი უახლოეს ორ-სამ დღეში გაირკვევა“. გაზაევმა ისიც გვითხრა, რომ „ფაკელთან“ ხუთი გატანილი გოლიდან ერთი მშვენიერი საჯარიმო დარტყმით გოგა გახოკიძეს გაუტანია.

არადა, მიხოს, ჩვენი ინფორმაციით, „ბრიუგე“ და „აინტრახტიც“ ეპატიჟებიან...

# ბიჭები გამავებულ „ტორპედოს“ ელიან

## თამაშით ვინ ვის გააშავებს, 22 ივნისი გვაჩვენებს

„მერანი“ განაგრძობს ინტერტოტოს გათამაშებისთვის მზადებას. გუნდი 15 ივნისს დიღმის საკალათბურთო ბაზაზე დაბინავდა. დღეისთვის 23 მოთამაშე ვარჯიშობს: მეკარეები — გუბაზ დოლიძე, რეზო ნაჭყებია და ვეფხია გვენცაძე; წინა ხაზის მოთამაშეები — რომეო გოგიტაძე, დემურ კაკუბავა, ლაშა და ბახვა ამბიძეები, შალიმან დანელია, შალვა ივანიშვილი, კახა სიდამონიძე, გივი ქველაძე, კოტე მელქაძე, გიორგი რევაზიშვილი, შალვა ხუჯაძე, დათო ჯიშკარიანი, ზაზა ბაკურაძე, შალვა ბერაია, გელა ქორიძე, მიხეილ მაზიაშვილი, ბადრი კვარაცხელია, ალეკო გელაძე, სულიკო დავითაშვილი და დათო გოდერძიშვილი.

გიორგი რევაზიშვილი გუნდს 17 ივნისს შეუერთდა, შალვა ხუჯაძე და გოჩა ტრაპაიძე კი — 18-ში, ისევე როგორც გივი ქველაძე, რომელსაც ფეხის მსუბუქი ტრავმა ჰქონდა. კუნთის დაჭიმულობის გამო ვერ ვარჯიშობს გელა გაბისონია. „მერანის“ მთავარი მწვრთნელის თემურ მახარაძის თქმით, ფაქტობრივად გამორიცხულია გაბისონიას თამაში „ტორპედო-ლუჟნიკთან“, რაც თბილისელთათვის უდაოდ დიდი დანაკლისი იქნება. ლაპარაკი იყო „ოდიშიდან“ ვლადიმერ გაბედავას დამატებაზეც, მაგრამ ზუგდიდელთა ფორვარდს „მერანის“ თავკაცებისთვის შეუტყობინებია, მე და გუჩუა პოლონეთის ერთ-ერთ გუნდში გასასინჯად მივდივართ, ასე რომ ჩემი იმედი ნუ გექნებათო. მოწამლული იყო და 18-ში ვერ ივარჯიშა შალვა ივანიშვილმა, თუმცა, ექიმებისა და მასაჟისტის დახმარებით სწრაფად მომჯობინდა და 19-ში მოედანს დაუბრუნდა. თავიდან „მერანში“ თბილისის უნივერსიტეტის მცველი დიმა ვერემჩუკიც ვარჯიშობდა, მაგრამ მიზეზთა გამო მისი თამაშიც გამოირიცხა, ისევე როგორც „აუგსბურგის“ ყოფილი თავდამსხმელის ბესიკ შენგელიასი. 15 ივნისს, შეკრების პირველივე დღეს, კოჭი ამოუბრუნდა მეკარე გუბაზ დოლიძეს, იგი მაინც განაგრძობდა ვარჯიშს, 18-ისთვის კი სრულად მომჯობინდა. ზემოთ ტრაპაიძეზეც მოგახსენეთ. იგი საკუთარი სურვილით დაეთხოვა „ბათუმის“ ხელმძღვანელობას და თავის ყოფილ მწვრთნელთან დაბრუნება ინდომა. მას ხომ „დინამო-2“-ში თემურ მახარაძე წვრთნიდა. ახლა ჩემპიონატში „მერანის“ სახელით გამოსვლა და ერთი წლის უთამაშებლობით დაკარგული ფორმის აღდგენა სურს. „მარგვეთიდან“ წამოსული მეკარე გვენცაძეც ფორმის აღდგენას ცდილობს. იგი ხომ გუნდს მხოლოდ თამაშებზე უერთდებოდა, რადგანაც სისტემური საწვრთნელი პროცესი მარგველებს მეორე წრეში პრეზიდენტის დაჭერის შემდეგ არ ჰქონიათ. გვენცაძეს მომდევნო ჩემპიონატისთვის თსუ-ს ხელმძღვანელობა იწვევდა, მაგრამ ვეფხიას საქართველოში უპირო ხალხი ბლომად შეხვდა და დარჩენა აღარ სურს. თუმცა, სად წავა და რომელ გუნდში ითამაშებს, არ გადაუწყვეტია. „მერანს“ ჯერ არ შეერთებია ახალგაზრდული ნაკრების შეკრებიდან დაბრუნებული ალეკო გოგობერიშვილი, რომელიც მძიმე სეზონის შემდეგ გადაღლილია. გასაკვირიც არ არის: 20 წლის მოთამაშემ, ფაქტობრივად, მხოლოდ წელს გაუგო გემო მაღალ დონეზე თამაშს და მწვრთნელებთან შეთანხმებით დროებით ისვენებს. იგი ვარჯიშს, წესით, დღეს უნდა შეუდგეს. მისგან განსხვავებით, ახალგაზრდულის მეორე წევრი, ტორპედოელი შალვა ხუჯაძე ინტენსიურ სეზონს დიდი ხნის შეჩვეულია, მან ტოტოზე შარშანაც ითამაშა, თანაც უფრო დიდი სანაკრებო გამოცდილებაც გააჩნია. ასეა თუ ისე, „ტორპედო-ლუჟნიკებთან“ შეხვედრას, გაბისონიას გარდა, იმედია, ყველა ძალ-ღონით სავსე შეხვდება.



დასაწყისშიც მოგახსენეთ, მერანელები კალათბურთელთა ბაზაზე არიან დაბანაკებულნი, იქვე სძინავთ და იქვე იკვებებიან. მართალია, სასურველია, უკეთეს პირობებში იყვნენ, მაგრამ ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, „მერანის“ პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე მაქსიმუმს აკეთებს.

დღის განმავლობაში მოთამაშეებს ორჯერ უხდებათ მოედანზე გასვლა — დილის 10 და საღამოს 19 საათზე.

მეკარეებს დათო ონოფრიშვილი წვრთნის, წინა ხაზის მოთამაშეები კი მთავარი მწვრთნელის თემურ მახარაძისა და მისი თანაშემწის სერგო გაბელაიას მეთვალყურეობით ემზადებიან. მცირე მოთელვის შემდეგ სამ ჯგუფად იყოფიან, მეკარეებსაც იმატებენ და კვადრატში ბურთაობენ. ამით მეკარეები ფეხით თამაშს ხვეწენ. 25 წუთი ნახევარ მოედანზე მხოლოდ წინა ხაზის მოთამაშეები რჩებიან და ზონის აღებაში ოსტატდებიან. ამ დროს მეკარეები კვლავ ერთმანეთს ავარჯიშებენ. შემდგომ კი ისევ ორად იყოფიან და ფეხბურთელთა დარტყმებს უმკლავდებიან, ორმხრივი თამაშის წინ კი ფლანგებიდან გათამაშებულ კომბინაციებზე უწევთ რეაგირება.

ვარჯიშები სახალისოდ მიმდინარეობს, ხუმრობენ, არ იტყობენ დაღლას. ბოლოს კი ისე გამხიარულდნენ, კინაღამ ორმხრივი თამაშიც ჩაშალეს:

**მერანი I 4:4 მერანი II**

**I: ნაჭყებია, გოგიტაძე, სიდამონიძე, ქველაძე, კაკუბავა, ხუჯაძე, მელქაძე, რევაზიშვილი, კვარაცხელია, ბ. ამბიძე, გელაძე**

**II: დოლიძე, ლ. ამბიძე, ჯიშკარიანი, შ. მახარაძე, დანელია, ბერაია, ბაკურაძე, მაზიაშვილი, ქორიძე, გოდერძიშვილი, დავითაშვილი**

**0:1, 0:2 გოდერძიშვილი, 0:3 ბერაია, 1:3, 2:3 კვარაცხელია, 2:4 დავითაშვილი, 3:4 კვარაცხელია, 4:4 გელაძე**

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გუნდის ნუმერაცია არაფერს ნიშნავდა, მწვრთნელები მოთამაშეებს აკვირდებიან და მზადყოფნის შესაბამისად დაადგენენ კიდეც შემადგენლობას. თამაშისას მსუბუქად დაშავდა კახა სიდამონიძე, თუმცა, სერიოზული არაფერია. როგორც ყოველთვის, ყველაზე მეტად გელა ქორიძესა და მეკარე რეზო ნაჭყებიას რეპლიკები ისმოდა. თამაშის ბოლოს კი მეტოქენი იმას არკვევდნენ, მთავარი მწვრთნელის შეურ არჩათვლილი გოლისას იყო თუ არა თამაშგარეში „აბრეზა“ (სულიკო დავითაშვილი).

ვარჯიშის შემდეგ თემურ მახარაძეს ვკითხე, რით ახსნიდა ორმხრივი შეხვედრის ასეთ მწვავე ხასიათს?

— ყველას ძირითად შემადგენლობაში სურს დამკვიდრება და ამის გამო ნერვიულობენ. აქედან გამომდინარე, ჟინით თამაშობენ და ერთმანეთს მისხალსაც არ უთმობენ. არადა, ჩვენი პრობლემა ბიჭების მიკროტრავმები და გადაღლილობაა. მომზადების ბოლო ოთხ დღეს მოთამაშეთა ფორმის აღდგენას შევეცდებით.

**— რა ინფორმაციას ფლობთ მეტოქეებზე?**

— 18-ში ტელევიზიით ვუყურებთ „ტორპედო“ — „დინამოს“ შეხვედრას. მართალია, სულ სხვაა მატჩისათვის უშუალოდ ტრიბუნიდან თვალის დევნება, მაგრამ ამჟამად ჩვენ არ გაგვაჩნია ფინანსური საშუალება, მოსკოვში კაცი მივავლინოთ. გვსურდა „ტორპედო“ — „ფაკელის“ კასეტის ხელში ჩაგდება, მაგრამ სტადიონზე მისულ ჩვენ მოსკოველ მეგობრებს გადაღების უფლება არ მისცეს. ისე, რუსეთის გუნდზე ინფორმაციის მოპოვება შედარებით ნაკლები პრობლემაა. ის ფაქტი, რომ რუსეთის საკმაოდ ძლიერ ჩემპიონატში „ტორპედო“ მეოთხე ადგილზეა, უკვე მეტყველებს, რომ ძლიერ მეტოქესთან გვაქვს საქმე. თანაც ახლა გუნდი აღმავლობის გზაზეა. მოთამაშეებიდან გამთამაშებელ ხოხლოვს გამოვყოფ, ასევე მეკარე პჩელნიკოვს, უკანა მცველ შუშმანოვსა და ფორვარდ იანკაუსკასს. ძლიერი მოთამაშეა [illegible] მცველიც მისი [illegible]. [illegible] აგონი და ბრაზილიელი [illegible] ალბერტო და როშა საკმაო ძალას წარმოადგენენ. სხვა გუნდებზე გაცილებით ნაკლებ ინფორმაციას ვფლობ. თემურ ქეცბაიამ საინტერესო ცნობა მომაწოდა საბერძნეთის „ირაკლისზე“: ქვეყნის ჩემპიონატის პირველი წრის მაჩანჩალებსა და ლიგიდან გავარდნის უეჭველ კანდიდატებს, მეორე ნახევარში ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოუსწორებიათ, ამის წყალობით ოთხი ძლიერი უცხოელიც დაუმატებიათ და ჩემპიონატის ბოლოს საკმაოდაც მოლონიერებულან. ძლიერი იუგოსლაველი გამთამაშებელი და მარცხენა ნახევარმცველი ჰყოლიათ. თბილისში ამ დღეებში ჩემი ავსტრიელი კოლეგები იყვნენ და, მათი თქმით, „რიედი“ შეკრული გუნდი ყოფილა, კოლექტიური, ტოტალური ფეხბურთის მიმდევრები არიან. „ფლორიანაზე“ კი დღემდე არაფერი ვიცით.

**— ავჭალის სტადიონიდან დიღმის ბაზაზე გადასვლამ მომზადებისას რაიმე ეფექტი ხომ არ გამოიღო?**

— რა თქმა უნდა, ივნისის ცხელ დღეებში ავჭალაში ძნელია ორჯერადი ვარჯიშების სრულყოფილად ჩატარება. აქ კი ვითარება, გარემო, მწვანეში ჩაფლული ბაზა ამის საშუალებას იძლევა და ამან, ბუნებრივია, მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ განწყობაზეც იმოქმედა. ეს ვარჯიშებსაც დაეტყო.

**— დილა-საღამოობით ორსაათიანი ვარჯიში ისედაც გადაღლილ მოთამაშეებს კიდევ უფრო არ დაღლის?**

— გულმოდგინედ ვაკვირდებით თითოეულ მოთამაშეს და როგორც ჩვენი მონაცემებით ირკვევა, თითქმის ყველას ფუნქციონალური მდგომარეობა, საქართველოს ჩემპიონატის საზომით თუ მივუდგებით, ნორმალურია. საკმარისი იქნება თუ არა ეს რუსებთან, 22 ივნისს ვნახავთ.

**მერაბ მამულაშვილი**

P.S. ცნობილი გახდა, რომ „მერანისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე, 22 ივნისს, საღამოს 7 საათზე დაიწყება, ბილეთი კი 3 ლარი ეღირება.

# გორის „დილა“ ფეხბურთელებისგან იცლება

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში ძნელია მეორე ისეთი სტაბილური გუნდის მოძებნა, როგორიც გორის „დილაა“. ცხადია, ამ შემთხვევაში ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი „დინამო“ კონკურსგარეშეა. „დილა“, ზედიზედ მერამდენე სეზონია, მერვე ადგილს იბევებს. ეს მერვე საფეხური გორელებს პრივატიზებული აქვთ და სხვები ტყუილად ირჯებიანო, ხუმრობენ სპეციალისტები. „დილა“ თავისებური ხელწერის გუნდია, რომელმაც საშინაო მატჩების მოგებით გაითქვა სახელი. გორში თამაში ყველას უჭირდა, თვით „დინამოსაც“ კი. „დილა“ კიდევ იმითაა გამორჩეული, რომ გორში, ფაქტობრივად, „ლეგიონერები“ ანუ სხვა რაიონებიდან წვეულნი არ ჰყავთ, თავისას და თავისიანებს სჯერდებოდნენ და „დილასაც“, ასე იყო თუ ისე, აწყობილი ჰქონდა საქმე. მერე დროება და ქვეყანა აირია და ფეხბურთის საქმეები გორშიც უკან წავიდა. გორელებმა ბოლო ხანს თავიანთ გუნდს საკადრისად ველარ მიხედეს. თქმულა, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. ჰოდა გორელმა ხელმძღვანელებმაც, ეტყობა, იფიქრეს, ე ჩვენები გინდ ფული მიე, გინდა არა, მაინც ჯიგრით თამაშობენ, გორს არ შეარცხვენენო და, ფეხბურთელები მთლად უკაპიკოდ დატოვეს. ამას ისიც დაემატა, რომ თითქმის ყოველ სამ თვეში იცვლებოდა კლუბის პრეზიდენტი. ახლაც მომხდარა ცვლილება. ქალაქის თავკაცის დავით ქობლიანიძის ნაცვლად კლუბი „დილას“ ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ ხადურმა ჩაიბარა, მაგრამ ხელფასების გადახდას საბოლოოდ მაინც არაფერი ეშველა. ფეხბურთელთა მოთმინების ძაფიც გამწყდარა და ყველა, დიდი თუ პატარა, გასაქცევად ემზადება — საშველს ჩვენვე ვიპოვითო. არადა, ნიჭიერ, იმედისმომცემ ფეხბურთელებს მუშტარი რატომ დაელევათ. მეკარე ვოლკოვს პირველი ჯგუფის დებიუტანტი „ლოკომოტივი“ ურიგდება. თბილისელები მცველ ფეზუაშვილითაც დაინტერესებულან. ნახევარმცველი რევაზიშვილი ერთდროულად სამ პირველჯგუფელს მოსურვებია: მის გადაბირებას „ტორპედო“, „მერანი“ და თსუ ცდილობენ. თავდამსხმელ კაიდარაშვილს ზურცილავამ დაადგა თვალი და მისი „ოდიშში“ წაყვანა სურს. მთხოვნელები არც თარხნიშვილს, ხაჭაპურიძეს და დანარჩენებს აკლიათ.

ადრეც ვწერდით მეკარე სოლოლაშვილის შესახებ. შუმახერას თანაქალაქელთა თუ ხელმძღვანელთა უყურადღებობამ ლამის ფეხბურთზე გული აუცრუოს. არადა, მის ტრავმირებულ თითს ოდენ 200 ლარი სჭირდება და „დილას“ ჩინებული მომავლის გოლკიპერი დაუბრუნდება.

— არა მაქვს ამჟამად ეს ოხერი 200 ლარი, თორემ ჩემს თავს მევე მივხედავდიო, ალალად გვითხრა თვალებში სევდაჩამდგარმა და გულდაწყვეტილმა მეკარემ.

თუ გორელებს გუნდის შენარჩუნება სურთ, საქმეს დროზე უნდა მიხედონ, თორემ წასული მოთამაშეები ძნელად კი არა, იქნებ სულაც ვერ დაიბრუნონ და მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის დაწყება გორის საფეხბურთო სკოლის მოწაფეებით მოუწევთ. ბავშვები, იცოცხლეთ, ბლომად კი ჰყავთ — 400 ნორჩი ფეხბურთელი ცოტა როდია და ღმერთმა დიდი ფეხბურთელები დაზარდოს, მაგრამ მანამდე?

**მამუკა ძგანტალიანი**

### სოლოლაშვილი ტერნოპოლში მიდის

სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ფოთის „კოლხეთი“ მისმა ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ, დავით სოლოლაშვილმა დატოვა. კოლხების ყოფილი ფეხბურთელი კარიერის გაგრძელებას მამუკა ფანცულაიასთან ერთად ტერნოპოლის „ნივაში“ აპირებს.

# ეთერშია „11+“

საქართველოს ტელევიზიის I არხს საფეხბურთო გადაცემების მომზადების დიდი ხნის გამოცდილება აქვს. ახლახან მათ ნაკვლევზე გამოჩნდა ახალი გადაცემა — „11+“ (თერთმეტი პლუს), რომელიც უდაოდ მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადებული, ზომიერი კომენტარებით, ქართული და უცხოური სიუჟეტებით უხვად და კარგად შეკერებული მიმოხილვა გახლავთ. ეს კი უდაოდ ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი კოლეგების — არმაზ მეტრეველის, ლაშა დვალიშვილის და ოპერატორ ალიკო ხუჭუას დამსახურებაა. „11+“-ს ერთიც გამოარჩევს: ჩვენ პირველად ვიხილეთ ქართული კადრებით დამონტაჟებული შესავალი საფეხბურთო კლიპი — „ქუდი“. გადაცემა I არხის სპორტულ რედაქციაში სატელიტური ტელეკომპანია ჰიეტი-TV-ის ხელშეწყობით მზადდება.

ვულოცავთ გადაცემის ავტორებს ეთერში გასვლას და ვუსურვებთ წარმატებებს. გულშემატკივრებს კი ვურჩევთ, ყოველ ორშაბათს, 22 საათსა და 40 წუთზე ნახონ „11+“.

# ფოთელებს ბულგარეთი შეუყვარდათ

ამის მიზეზი მართლაც აქვთ — მეორე წრისთვის „კოლხეთი“ ბულგარეთის ზღვისპირა კურორტ ბურგასში მოემზადა და ამან შედეგიც გამოიღო — გუნდი საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა და უეფას თასის საგზურიც მოიპოვა. ფოთელები უკვე 14 ივნისს შეიკრიბნენ, ბურგასში კი 21-ში გაემგზავრებიან. როგორც შევიტყვეთ, „კოლხეთი“ დათო სოლოლაშვილმა და ბესიკ ამაშუკელმა დატოვეს. მთავარი მწვრთნელის სოსო ფილიას თქმით, ფოთელები ხაშურის „იველიიდან“ შალვა და ზაზა ლაცაბიძეების და ჰამლეტ წიწვიძის დამატებას აპირებენ. ზღვისპირელები „ტორპედოს“ ხელმძღვანელობასაც შეთანხმებიან და უეფას თასზე ლევან ქებაძეს, კახა კვეტენაძესა და ვახტანგ ხვადაგიანს დაიხმარებენ.

# თსუ ექვსეულში მოხვედრაზე ოცნებობს

თსუ-მ ცვლილებები უნდა განიცადოსო, „სარბიელმა“ უკვე გამცნოთ. ასეც მოხდა. კლუბის დამფუძნებლებმა 16 ივნისს დიდი თათბირი მოიწვიეს, გასარკვევი გაარკვიეს და სამომავლო გეგმებიც დასახეს. გუნდის მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად დაინიშნა ოთარ გაბელია, რომლის წამოყენებულ მოთხოვნებსაც კლუბის ხელმძღვანელობა დაყაბულდა. ახალდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა პირველ რიგში გუნდში მოკოჭლებული დისციპლინის გამკაცრება მოითხოვა და აღნიშნა, ამ საკითხს ახლავე მივხედოთ, თორემ მერე გვიან იქნებაო.

ადრინდელი მთავარი მწვრთნელი ელგუჯა ხუციშვილი ახალი სეზონიდან გუნდის უფროსად იმუშავებს. მწვრთნელები ავთო ნებიერიძე და თემურ ჩხაიძე იქნებიან. კლუბის პრეზიდენტი ზაალ ცხვარაძე კი თსუს გენერალურ მენეჯერად დაინიშნა.

საკადრო ცვლილებების გარდა, თაყრილობაზე ისიც აღინიშნა, რომ ახალ ჩემპიონატში გუნდის მიზანი მოწინავე ექვსეულში მოხვედრა იქნება და კლუბის ხელმძღვანელობა თსუს მაჩანჩალობას ვეღარ შეეგუება.

ისიც გადაწყდა, რომ თსუს ფარმკლუბი თსუ-2, რომელიც მერვე ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ჯგუფში გამოდიოდა და პირველი ცხრეულის მიღმა დარჩა, ახალი სეზონიდან გათამაშებას მესამე ჯგუფში გააგრძელებს და ისევ უნივერსიტეტელთა ბალანსზე დარჩება.

თბილისელები მზადების პირველ ეტაპს ხვალიდან შეუდგებიან. გუნდი მცხეთაში, „არმაზის“ სტადიონზე ერთჯერად ვარჯიშებს გამართავს. ფეხბურთელები უკვე ამთავრებენ სამედიცინო შემოწმებას. როგორც თსუს წარმომადგენლებმა გვაცნობეს, გუნდი საბოლოოდ ივნისის ბოლოს დაკომპლექტდება და მზადების მეორე ეტაპზეც გადავა.


# ქველი

სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური

ზემოაღნიშნული სამსახური ემსახურება სააღრიცხვო-საბარათო სისტემაში გაერთიანებულ მოსახლეობას.

თითოეული ოჯახი უხდის ჩვენს სამსახურს 6 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთჯერ 2 ლარსა და 20 თეთრს. გამოძახებათა რაოდენობა შეზღუდული არ არის. მუშაობს უფასო სატელეფონო-საკონსულტაციო სამსახური. მომსახურებას გაგიწევთ მაღალკვალიფიციური ექიმებით დაკომპლექტებული ბრიგადები.

*ფორმდება ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან და ინდივიდუალურ პირებთან. ხელშეკრულების გაფორმება შეგიძლიათ შემდეგ მისამართებზე:*

1. ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქ. № 51. III სართული.
T. 95-02-22, 95-31-15
2. თემქა. № 5 სამშობიარო სახლი. T. 60-26-02
3. სამსახური „ქველის“ ადმინისტრაცია.

## ქართველები პორტუგალიაში



# ქოქომ ხელი მოაწერა

არა, პორტუგალიელი ქალის მოყვანა გულშიც არ გაუვლია, გოჩა ქოქოშვილმა მხოლოდ ლისაბონის „ბელენენსეშთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს მოხდა გუშინწინ, თბილისში ღამის 12 საათი იქნებოდა.

...ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ მეორედან პირველ ჯგუფში გადმოსულ თბილისის „მერანზე" წერილს რომ ვწერდი, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ჯაშმა მითხრა, გოგოლაძეს, ქოქოშვილს და ფერაძეს მიაქციე ყურადღება, შორს წავლენო. მწვრთნელის წინასწარმეტყველება ახდა — ფერაძე სადაა, ვერ გეტყვით, ისე, კარგი ფეხბურთი მართლა უნდა ეთამაშა. კახა გოგოლაძე, ჯაშმა რომ დაცვიდან თავდასხმაში წასწია, მართლაც ძლიერ მოთამაშედ იქცა და მართლაც შორს წავიდა — თურქმენეთშია, გოჩა ქოქოშვილი კი ამჟამად ევროპის უკიდურეს დასავლეთში — პორტუგალიაში თამაშობს. გოჩას გუშინ შევეხმიანე:

— ჩვენი „ოლიანენსე" მესამე ადგილზე გავიდა. ბოლო ტურში გოლიც გავიტანე და „ოლიანენსესაც" დავემშვიდობე გუშინ, რვა საათზე მოვაწერე ხელი „ბელენენსეშთან" ორწლიან კონტრაქტს.

**— რატომ მაინცდამაინც „ბელენენსეში"?**

— ჩემით სხვა პორტუგალიური კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი — „ბრაგა", „გიმარაეში", „ამადორა", „ფარენსე", მაგრამ ყველაზე უკეთესი პირობები სწორედ „ბელენენსეშმა" შემომთავაზა და მეც დავთანხმდი ორწლიან კონტრაქტზე. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ჩემმა აგენტმა მითხრა, ერთი მატჩი მაინც რომ გეთამაშა ეროვნულ ნაკრებში, გაცილებით ძლიერი ქვეყნის ძლიერ კლუბს გაგიხერხებდიო...

**— „ოლიანენსეში" რა ადგილზე გათამაშებდნენ?**

— ჩვეულებრივ, ჩემს პოზიციაზე — წინა მცველად, თუმცა, მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ მადგებოდა და ხშირად ვერთვებოდი შეტევებშიც. რაც ჩამოვედი, დისკვალიფიკაციით გამოწვეული ერთი-ორი თამაშის გაცდენას თუ არ ჩავთვლით, ოცამდე მატჩი ვითამაშე და შვიდი გოლიც შევაგდე.

**— პორტუგალიაში მიწვევა თავიდან შენც და ზირაქაშვილსაც პირველმა ქართველმა ფიფას აგენტმა — ილია კოკაიამ გაგიხერხათ...**

— მისი მადლიერი ვარ — რამდენიმე თვის უთამაშებელს კარგ გუნდში მოხვედრის შანსი მომეცა. როცა "ოლიანენსეში" მოვმაგრდი და ჩემი თამაშით სხვებიც დაინტერესდნენ, „ბელენენსეში" ყველამ მითხრა — ფინანსურად ძლიერი კლუბიაო. ამ გუნდის წარმომადგენლები რამდენჯერმე ჩამოვიდნენ ჩემი თამაშის სანახავად და, ეტყობა, მოვეწონე.

**— ზირაქაშვილისა რა იცი?**

— ჩვენ სხვადასხვა ქალაქებში ვცხოვრობთ, თუმცა, ერთმანეთს ხშირად ვურეკავთ ხოლმე. შანსი მისცეს და კარგად ჩატარებულმა მატჩმა და ცენტრიდან გატანილმა გოლმა დიდი სამსახური გაუწია. არაა გამორიცხული, ზაზა ძლიერ გუნდში მოხვდეს. მისი ბედიც ამ კვირაში გადაწყდება...

**— ადრე ისე გავიგე, თითქოს რეზო ძოძუაშვილი სანაკრებოდ აპირებდა შენს სანახავად პორტუგალიაში ჩამოსვლას...**

— იყო ამაზე ლაპარაკი, თუმცა ბატონი რეზო არ ჩამოსულა. რაც უნდა იყოს, მეორე დივიზიონი მაინც მეორე დივიზიონია. თუ „ბელენენსეშიც" კარგად ავთამაშდი, მაშინ შეიძლება თქმა, სანაკრებოდ ვივარგებ თუ არა. პორტუგალიური ფეხბურთის კლანჭები ხომ „დინამომაც" გამოსცადა საკუთარ თავზე და, არა მგონია, ხელწამოსაკრავი პირველობა ჰქონდეთ...

...ახლა ბევრს წერენ, ნაკრებს ახალი სისხლი უნდა გადავუსხათო, იქნება ქოქოშვილიც გაგვესინჯა. მის მიერ ჩაკეტილი და დათრგუნული ფორვარდები ხომ ახლა „ბლექბერნის", „კაიზერსლაუტერნის", „ბრონდბის" და სხვა კლუბების წამყვანი ფეხბურთელები არიან...

**გამუკა ქვარაცხელია**

# „ლოთ" რობერტოს „ფარენსე" ვერ ელევა

ზაზა ზირაქაშვილს ბედმა გაუღიმა — როგორც იქნა, ქართული ფეხბურთის ჭაობს თავი დააღწია და პორტუგალიის პირველი დივიზიონის „ფარენსეში" ჩაირიცხა. ამასწინათ ზაზას დებიუტზეც გიამბეთ — აუტსაიდერ „ლეირიასთან" ცენტრიდან გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასითაც გამოიჩინა თავი. ყველაფერი უფრო დაწვრილებით რომ შეგვეტყო, ზაზას ფაროში შევეხმიანეთ.

— კილონაცვალი იყო, უცხო გარემოს მისი მეტყველებისთვის აშკარა კვალი დაუტყვია. იქ ხომ მხოლოდ გოჩა ქოქოშვილი ეგულება ჩვენებურთაგან. ესენი ერთად ცხოვრობდნენ, თუმცა სხვადასხვა გუნდებს ეკუთვნიან და ქართულად მაინცდამაინც ხშირად ვერ საუბრობენ.

— მეტად თავდაჯერებული, თუმცა, გულნატკენი მეჩვენა. „ლეირიასთან" გატანილი გოლის გარდა სასაუბრო სხვაც ბევრი ჰქონდა:

— ცენტრის ოდნავ წინ ვიდექი, როდესაც მცველმა ბურთი მომაწოდა, დავინახე, რომ მეკარე საკმაოდ წინ იყო გამოსული, მეც არ დავახანე და დავარტყი. გოლი ტურის მეორე საუკეთესო გოლად დაასახელეს. ჩემს გოლს მხოლოდ ბოავიშტელი ნუნუ გომეშის გატანილმა აჯობა, ამან მცველები და მეკარე მოატყუა და ახლოდან შეაგდო. ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც დამასახელეს. შემდეგ ტურშიც მათამაშეს, „შავეშთან" ეს მატჩი 1:1 დასრულდა. ამ ჯერზე გოლი არ გამიტანია. 15 ივნისსაც ვითამაშე „სალგეიროშთან". საერთოდ, გამთამაშებელი ვარ, თავდასხმის უკან გამამწესეს.

ახლა უფრო დაზუსტებით იმის შესახებ, რატომ ვერ ითამაშა აქამდე ზაზარობერტომ: „თვენახევარი ფეხის ტკივილი მაწუხებდა, უკანა კუნთი მქონდა დაჭიმული. ჯერ ხეირიანად არ მოვმჯობინებულიყავი, რომ ვარჯიში დამაწყებინეს და ისევ დავშავდი. სანამ ფორმა აღვიდგინე და ფიზიკურად მოვმაგრდი, საკმაო დროც გავიდა. ამასთან, ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს და მეორის დასაწყისისთვის „ფარენსეს" უფროსობას ლიგიდან გავარდნის შიში ჰქონდა და ექსპერიმენტებისთვის არ ეცალათ. მაგრამ გუნდმა თანდათან გამოასწორა მდგომარეობა და მეც თავის გამოჩენის შესაძლებლობა მომეცა".

მათ, ვისაც პორტუგალიაში წასვლა განუზრახავს, ზირაქაშვილი სიფრთხილეს ურჩევს: „პორტუგალიელები მატყუარები არიან, თუ გულდასმით არ გაეცანი კონტრაქტს, ისე გაგაცურებენ, როგორც არაფერი. კიდევ კარგი, ჩემთან ეს არ გამოუვიდათ. გუნდში ერთი იუგოსლაველი ვეტერანი, გვარად ჯუკიჩია, „ფარენსეში" დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და თავისი სიტყვის გატანაც შეუძლია. ჯუკიჩს ჩემი თამაში მოეწონა და ამიტომაც მფარველობს. ჯერ საკუთარი მენეჯერი არ მყავს და მისი დახმარებაც ამიტომ დამჭირდა. აგენტობას ილია კოკაია მთავაზობდა, მაგრამ მასთან ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია. ახლა შაბათს ჩავალ გერმანიაში და ამ საკითხსაც გავარკვევ".

მანამდე კი უმენეჯერო ქართველით რამდენიმე პორტუგალიური გუნდი დაინტერესდა — „ბოავიშტა", „ბრაგა", „ბელენენსეში" და პირველ დივიზიონში წელს გადასული „კამპომაიორენსე". მაგრამ „ფარენსე" არ მიშვებს, ამათთან ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და კიდევ ორწლიანს მთავაზობენ. თუმცა, ჯერ თავს ვიკავებ. ხომ ვთქვი, პორტუგალიელები თაღლითები არიან და მათთან მენეჯერის დაუხმარებლად საქმის დაჭერა არ ღირს. მეც კოკაიას ჩამოსვლას ველოდები. უკვე მესამე თვეა, მოთამაშეებს ხელფასს აღარ გვიხდიან. პორტუგალიურ გუნდებთან ერთად იყო კორეის ვარიანტიც, იქ კამერუნელთა ყოფილი მწვრთნელი, რუსი ნეპომნიაშჩი მუშაობს და გუნდში სამი რუსიც ჰყავთ, მაგრამ იქაურმა პერსპექტივამ ვერ მომხიბლა და უარი ვთქვი. თანაც, პორტუგალიურ ფეხბურთსაც შევეჩვიე. უფრო სწორად, სტილი შევიცვალე. ადრე ბურთისთვის ბრძოლას ვერიდებოდი, დაცვასაც არ ვეხმარებოდი, „ფარენსეში" კი სწორედ ეს მასწავლეს, დღევანდელ, თანამედროვე ფეხბურთს შემაჩვიეს და, ჩემი აზრით, ეს არის მთავარი."

ლაპარაკობდა ზაზა და ვერ იტყოდი, ბაქიაობსო. თუმცა, წამიერი დუმილის შემდეგ გულისტკივილით თქვა: „ვიცი, ნათქვამს ტრაბახში ჩამითვლიან, იმასაც იტყვიან, თავის შეხსენება უნდაო. საქართველოში ხომ თითქმის ყველას დავავიწყდი. ერთმა პორტუგალიაში ნამყოფმა კაცმა მანდ ხმები დაყარა, ზირაქაშვილი დილიდან საღამომდე ბარებში ზის და ლოთობსო. თურმე, ნუ იტყვით, „ფარენსეს" ჩემი „ლოთობა" მოსწონებია და ამიტომ მთავაზობს ორწლიან კონტრაქტს. პორტუგალია საქართველო არ არის, იქ გუნდში ლოთებს არ აჩერებენ, მით უფრო, ცხრა მთას იქიდან მოსულს. ვინც ასეთ ჭორებს გივრცელებს, სინდისი არ ჰქონია. მართლაც რომ ასე ყოფილიყო, აქაურ ჟურნალისტებს ამას გამოვაპარებდი? თუმცა, ეს არაფერი, ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაირკვევა, მე ხომ ვიცი, არსად ისე არ მომინდომებია, როგორც „ფარენსეში". მე დიდი ფეხბურთის თამაში მსურს და იმას რა ვუთხარი, ვინც ლვინის სიყვარული დამაბრალა. პორტუგალიის ჩემპიონატი რომ ლოთების თავშესაფარი არ არის, ამას, მგონი, მტკიცება არ სჭირდება. აქ მთელი 90 წუთი მოძრაობენ, უხეში თამაშიც იციან, ბურთს იოლად არავინ მიგალებინებს. მეც ეს მინდა — ჩემპიონატს უამრავი უცხოელი სელექციონერი ესწრება, ესპანეთიც აქვეა: თუ თავს გამოიჩენ, უმალ კარგ გუნდში გიკრავენ თავს. ჩემი თავის მტერი უნდა ვიყო, ფეხბურთის თამაშის ნაცვლად დრო ქეიფში გავატარო. მით უფრო, რომ ირიბად მიმანიშნეს შესაძლო ესპანურ ვარიანტზე. მეორე დივიზიონში თამაშობდა გოჩა ქოქოშვილი, თავი გამოიჩინა, უცებ სტაცეს ხელი და „ბელენენსეში" ორწლიანი კონტრაქტიც გააფორმა. ჩემი საქმისა ხომ გითხარი, „ფარენსეს" კიდევ ერთი წელი ვეკუთვნი, მეუბნებიან, ჯერ სად გეჩქარება, კიდევ ორი წელი ჩვენთან დარჩი და მერე ისეთ გუნდში გადაგიყვანთ, შენც რომ გაგიხარდება და ჩვენც რომ ვიხეირებთო. ახლა იმასაც მეუბნებიან, პორტუგალიის მოქალაქეობა მიიღე, ჩასვლა-ჩამოსვლა და ვიზის აღება აღარ გაგიჭირდება, თანაც ლეგიონერად არ ჩაითვლებიო. აქაური მოქალაქეობის მიღება ნაკრებში თამაშში ხელს არ შემიშლის".

... აქ ისევ გაჩუმდა. ისევ სევდიანი კილო: „თუმცა, რომელ ნაკრებზეა ლაპარაკი, საქართველოში ვიღას ახსოვს ზირაქაშვილი. მე ხომ „ლოთი" ვარ... ნაკრებში აღარ მიწვევენ და სხვა რა უნდა ვიფიქრო. გული მაქვს ნატკენი, მაგრამ, ეტყობა, ასე თვლიან საჭიროდ".

მყისიერად სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. დაწუწუნება არ სურდა: „აქ რომ ჩემპიონატია, ევროპაში მისი დონისა ბევრი არ იქნება. ბოლოს ჩვენთვის ნაცნობმა „ბოავიშტამაც" გაიღვიძა და თასიც აიღო. ფინალში „ბენფიკას" მოუგო. წელს რამდენჯერაც შეხვდნენ ლისაბონელებს, იმდენჯერ მოუგეს. ამათი პრეზიდენტი პორტუგალიის პირველი დივიზიონის თავკაცი გახდა და „ბოავიშტამაც" თავი წამოჰყო. თუმცა, არ იფიქროთ, ჩაწყობილი თამაშების წყალობითო — უბრალოდ, მეორე წრე ძალიან ძლიერად ჩაატარეს. სხვათა შორის, ჩემი პორტუგალიაში ჩასვლა „დინამოს" „ბოავიშტასთან" წაგებას დაემთხვა და, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურადაც კი მიყურებდნენ. თან, არც კი იცოდნენ, საქართველო სად იყო, ჯერაც რუსებად გვიცნობენ. თბილისიდან ჩამოსულმა პორტუელმა ჟურნალისტებმა ხომ მიწასთან გაგვასწორეს — არც წყალივარგოდა მაგათი, არც საჭმელი და არც საერთოდ ქვეყანა, ეგაა, ნორმალურ სასტუმროში ვცხოვრობდითო".

მერე როლები გავცვალეთ, აქაურობას მონატრებულმა ჩვენებური ამბები გამომკითხა. მეტი დრო აღარ ჰქონდა, სადღაც ეჩქარებოდა. ალბათ, „სალოთაოდ" მიდიოდა. იმედია, პორტუგალიელები მისგან კარგ თამადას „მაინც" დააყენებენ.

**მერაბ გამულაშვილი**



ქუთაისში კარგი გუნდის ჩამოყალიბებას იმ დროს მოჰკიდეს ხელი, როცა, მავანთა აზრით, ერთ-ერთი ლიდერის ფოთის „კოლხეთი" მიწვეულ ფეხბურთელთა პირობებს ვეღარ აკმაყოფილებდა. თანაც VIII ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასასრულს გუნდი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. ყველამ თავისი გზა ნახა, მათ შორის შალვა ხუჯაძემაც — მან, ქუთათურთა დაინტერესების შედეგად, „ტორპედოში" ამოჰყო თავი. დაიწყო მეორე წრე, ხუჯაძით და სხვა ფეხბურთელებით გაძლიერებული „ტორპედო" კი, ევროპაზე გასვლას რომ ლამობდა, სწორედ ფოთში დამარცხდა „კოლხეთთან". საევროპო ოცნებებიც ამის შემდეგ დასამარდა. თუმცა დროებით — ახალი სეზონიდან, ეჭვი არაა, „ტორპედო" მედლების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება. ქუთათურთა მოსალოდნელ წარმატებაში კი ლომის წილი, ალბათ, სწორედ შალვა ხუჯაძემ უნდა დაიდოს — იგი ხომ ისეთ ამპლუაში თამაშობს, რომ ბევრ რამეს მისი მონდომება განაპირობებს.

# შალვა ხუჯაძე

## თბილისში დაბრუნებას არ აპირებს

**— შენს ყოფილ თანაგუნდელებთან რომ არ წაგეგოთ, ახლა რომელიმე ევროპულ თასზე ითამაშებდით.**

— ასეა. არადა, „კოლხეთთან" თამაშამდე, მეორე წრეში არცერთხელ არ წაგვეგო. ფაქტობრივად, ისე აეწყო საქმე, რომ სწორედ ფოთში უნდა გადაწყვეტილიყო, ვითამაშებდით თუ არა ევროტურნირებზე. სამწუხაროდ, წავაგეთ. ამის შემდეგ კი, აბა, რა აზრი ჰქონდა დანარჩენი თამაშების მოგება-წაგებას. მეხუთე ადგილიდან არ ჩამოვქვეითდებოდით, მეოთხეზე გასასვლელად კი ქულები არ გვეყოფოდა, რადგან „მერანს" ისეთი თამაშები ჰქონდა დარჩენილი, ყველას თუ არა, უმეტესობას მოიგებდა. ამიტომაც იყო, ბოლო ტურებში სოსო ფრუიძე ძირითად შემადგენლობას რომ ასვენებდა, გასაქანს სათადარიგოებს აძლევდა და, მე თუ მკითხავთ, სწორადაც იქცეოდა. ბიჭებს ხომ შეთამაშება სჭირდებოდათ, ვინ იცის, იქნებ მომავალ სეზონში ზოგიერთი გამოგვადგეს კიდეც.

**— მით უმეტეს, რომ, ალბათ, საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებთ.**

— რა თქმა უნდა, ასეთი გუნდით თამამად შეიძლება მედლებზე ფიქრი. გუნდის ფინანსური მდგომარეობაც გვაიმედებს — უწინდელთან შედარებით ყველაფერი რიგზეა. ესაც ხომ ერთ-ერთი წინაპირობაა საიმისოდ, რომ მომავალ სეზონში უკეთ ვითამაშოთ. „ტორპედოში" ყოველთვის იყვნენ კარგი ფეხბურთელები და დღესაც ასეა — რამდენიმე მათგანი ნაკრებშიც კი თამაშობს.

**— შენი ჩათვლით, ოღონდ ჯერ ახალგაზრდულში ხარ. ეროვნულზე არ ფიქრობ?**

— როგორ არა. ეს ჩემი ოცნებაა. ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის. თანაც, ასაკი მემატება და მომავალ წელს გუცაევის ნაკრებში ვეღარ ვითამაშებ.

**— რახან ნაკრებზე ჩამოვარდა სიტყვა, ეს მინდა გკითხო: გუცაევი დაცვის ფლანგზე გათამაშებს, ფრუიძე — საყრდენ ნახევარმცველად. არ გიჭირს ნახევარდაცვიდან დაცვაზე გადაწყობა?**

— თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა შევეგუე ნაკრების ტაქტიკურ სქემას და ახლა არ ვაძლევ დიდ მნიშვნელობას, სად მათამაშებს გუცაევი. ისე, ნახევარმცველად თამაში მირჩევნია, ანაც წინა მცველად.

**— საერთოდ, ახალგაზრდულ ნაკრებზე რას იტყვი? როგორ ეგუები გუცაევის ფიზიკურ დატვირთვებს?**

— ადვილი შესამჩნევია, მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაზე აკეთებს აქცენტს. ამიტომაა, ყველა მატჩში ხისტად და ძალისმიერად რომ ვთამაშობთ. მგონი, ფიზიკურად არცერთ მეტოქეს არ ვუდებთ ტოლს, ეს კი, უპირველესად, გუცაევის დამსახურებაა. ქართველები ყოველთვის გამოვირჩეოდით ტექნიკით, ამას გუცაევმა ძალაც დაუმატა და დღეისათვის ისეთი გუნდი გვყავს, ნებისმიერ მეტოქეს რომ შეებრძოლება.

**— შენ რა ნაკლი გაქვს?**

— მარცხენა ფეხით ვერ ვთამაშობ ისე, როგორც საჭიროა. რა თქმა უნდა, ნაკლი სხვაც ბევრი მაქვს, მაგრამ ყველაზე მეტად ცაციათი თამაში მიჭირს.

**— ჯერ ფოთში თამაშობდი, ახლა ქუთაისში. ოჯახიდან მოწყვეტილი როგორ გრძნობ თავს? თბილისში დაბრუნებას არ აპირებ?**

— ფაქტობრივად, ორი წელია, რაც თბილისიდან წავედი. სიმართლე გითხრა, ძალიან მიჭირს, მაგრამ არც ქუთაისში ვგრძნობ ურიგოდ თავს. მამაჩემი ქუთაისელია, სახლიც გვაქვს და მე და ჩემი ძმა იქ ვცხოვრობთ. ახლობლების ნაკლებობასაც არ განვიცდი. მოკლედ, გინდ ქუთაისში ვყოფილვარ და გინდ შინ. რაც შეეხება თბილისში დაბრუნებას, არა მგონია, სათამაშოდ ჩამოვიდე. თუკი სადმე წავალ, ისევ და ისევ უცხოეთში.

**— მიწვევები თუ გაქვს?**

— რამდენიმე ბერძნულმა და გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გუნდმა შემომთავაზა გასასინჯად ჩასვლა, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ. თუ იქნება ხეირიანი წინადადება რომელიმე ევროპული კლუბისგან, გადავალ, თუ არადა, უკეთესს დაველოდები. მოკლედ, „ტორპედოს" ხელმძღვანელობა თუ გამყიდის, საწინააღმდეგო არაფერი მექნება, მაგრამ თამაშს მხოლოდ და მხოლოდ კარგ გუნდში გავაგრძელებ.

**კობა ინასარიძე**

ივლისიდან
გაზეთი
„კომპიუტერული
ოაზისი"
სიახლენი
კომპიუტერულ
სამყაროში,
ცხელ-ცხელი
ინფორმაცია
პროგრამული
უზრუნველყოფის,
აპარატურისა და
თამაშების შესახებ.
P. S. ... სად,
... და მრავალი სხვა.

# პასარელა ბეწვზე გადარჩა

## COPA AMERICA

### C ჯგუფი

**ბრაზილია 3:2 მექსიკა**

**ბრაზილია:** ტაფარელი, კაფუ, სელიო სილვა, ალდაირი, რობერტო კარლოსი, დუნგა, კონსეისაო, ლეონარდო (ზე რობერტო 88), ჯალმინია (დენილსონი 46), რომარიო, რონალდო
**მექსიკა:** ა. რიოსი, სანჩესი, სუარესი, დევინო, რომერო (აბუნდისი 85), პარდო, ლარა, ვილა, რამირესი (გარსია 76), ერნანდესი, ვ. რიოსი (ბლანკო 63)
**გოლი:** 0:1, 0:2 ერნანდესი (14, 32), 1:2 ალდაირი (48), 2:2 რომარიო (62), 3:2 ლეონარდო (80)

ჯერჯერობით „კოპა ამერიკის" ყველაზე საინტერესო თამაში სანტა-კრუსში იმართება. ამჯერადაც ასე მოხდა. სანტა-კრუსის გადაჭედილი სტადიონი ოვაციებით შეხვდა პირველი შეხვედრაში კოსტა-რიკელების გამანადგურებელი ბრაზილიის ნაკრებს. ტაში და გამამხნევებელი შეძახილები არც მექსიკის ნაკრებს მოჰკლებია. მაყურებელთა თამაშამდელ განწყობილებას მობურთალებმაც მხარი დაუჭირეს და ქომაგებს ამ ტურნირის ჯერჯერობით საუკეთესო მატჩი უჩვენეს, რომლის ტაიმებიც ერთობ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. პირველ ტაიმში „მწვრთნელთა მწვრთნელის", ბორა მილუტინოვიჩის აღზრდილებმა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები აშკარად დაჩაგრეს და ორბურთიანი უპირატესობაც მოიპოვეს. მექსიკელები პირველი წუთიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს და კოლუმბიელთა კარში ორი გოლის გამტანი ლუის ერნანდესის წყალობით საათის მეოთხედში დაწინაურდნენ კიდეც — თანაგუნდელის საჯარიმოში ჩაწოდებულს ლუისმა მოხერხებულად დაუხვედრა თავი. გოლს ბრაზილიელებზე სრულიადაც არ უმოქმედიათ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ზაგალოს ბიჭები მექსიკას „ზემოდან" უცქეროდნენ. ცხადია, მეტოქისადმი ასეთი დამოკიდებულება არავის მოუტანს სიკეთეს და ბრაზილიამაც მეორე გაუშვა. თუმცა, მანამდე ადოლფო რიოსმა რონალდოს აუღო, ხოლო ტაფარელმა — კვატემოკ ბლანკოს. გოლი კი იმავე ერნანდესმა შეაგდო — საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი რომ მიიღო, კარისკენ დაიძრა, მცველების წინააღმდეგობა სძლია და მეორედ გაიხარა. ტაიმის მიწურულს გამოფხიზლებულ ბრაზილიელებს მეტოქის კიდევ ერთი სახიფათო კონტრშეტევა გაეპარათ, მაგრამ გადარჩნენ. მეორე ნახევარში კი ბრაზილიამ საფეხბურთო სპექტაკლი მოაწყო. თამაშის განახლებიდან სამ წუთში ალდაირმა თაურით გაქვითა. მერე კი რომარიომ, კოსტა რიკასთან რომ შეტევა განახორციელა, დაახლოებით იმგვარად შევიდა, თუმცა, ამჯერად მისი დარტყმული კარს სცდებოდა და კამილიო რომერომ თავგანწირული ნახტომით საკუთარ კარში ჩაჭრა. მოედანზე მდგომარეობა კი დაიძაბა, მაგრამ ნათელი იყო, მექსიკას წინ გასვლა გაუჭირდებოდა. ისინიც ქულის გადარჩენაზე თამაშობდნენ, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც — მეტად აქტიურმა ლეონარდომ ბურთის აუტზე გადასვლის მომლოდინე მეტოქეს იგი აართვა და რამდენიმე მექსიკელის მოტყუების შემდეგ რთული პოზიციიდან დაარტყა — რიოსი ვერას გახდა. ზაგალოს ბიჭები არც ახლა დაცხრნენ თუმცა, მათი საბრძოლო ჟინი ხანდახან უხეშობაში გადადიოდა, რის გამოც ბოლო წუთზე არბიტრმა ფლავიო კონსეისაო გააძევა.

გამარჯვებით და მეოთხედფინალში ნაადრევად გასვლით გახარებულმა ზაგალომ პრესკონფერენციაზე შეგირდები აქო და ადიდა, მერე კი განაცხადა, მეორე ტაიმში ფეხბურთის სილამაზე თვალნათლივ წარმოვაჩინეთო: „პირველ ტაიმში ჩვენი თამაში საზიზღარი იყო. მეტოქემ აშკარად დაგვჯაბნა, ბიჭები კი მათ არასერიოზულ ძალად თვლიდნენ, წელს ხომ უკვე 4:0 მოვუგეთ. საკუთარ ძალებში ზედმეტად თავდაჯერებულობამ რა ხეირიც მოგვიტანა, თავადაც ნახეთ. საბედნიეროდ, მეორეში ვივარგეთ. ისე კი უნდა ვთქვა, რომ ბორას გუნდი აშკარად ძლიერია და მსოფლიოს ჩემპიონატზე ფავორიტი თუ არა, არც უკანასკნელი იქნება. ერთ წელიწადში მექსიკა ბრწყინვალე გუნდად ჩამოყალიბდა". მარიოს კოლეგა მილუტინოვიჩმა კი ჯერ მოგება მიულოცა ზაგალოს, ნაღდად კარგი გუნდი გყავსო, მერე კი თავისას მოჰყვა და ბოლოს თქვა, საფრანგეთში რომ არ მოვხვდეთ, ტრაგედია იქნებაო.

**კოლუმბია 4:1 კოსტა რიკა**

**კოლუმბია:** კალერო, სანტა, ბერმუდესი, კორდობა, მორენო, კაბრერა, პერესი, პაჩეკო (ბონილიო 84), მორანტესი (მაფლა 84), რიკარდი (სულეტა 46), არისტისაბალი
**კოსტა რიკა:** ბარანტესი, იარა, გონსალესი, რაიტი, ბერი, სოლისი (მეიფრისი 55), გუილენი, ლოპესი, სოტო (რამირესი 63), გომესი (ოვიედო 60), მედფორდი
**გოლი:** 1:0, 2:0 მორანტესი (13, 23), 3:0 კაბრერა (62 პ), 3:1 რაიტი (67), 4:1 არისტისაბალი

პირველ ტურში დამარცხებულთა მატჩი ჩვეულებრივი გამოდგა: უბრალოდ, ერთი გუნდი ძლიერ სჯობდა მეორეს და კოლუმბიელებს, რომელთაც მრავლად შექმნილი მომენტებიდან მცირედის გამოყენება სჩვევიათ, ამჯერად მაინც რომ ელალატათ ტრადიციისთვის, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა. უბრალოდ, ხამილტონ რიკარდი, ვიქტორ არისტისაბალი, ლუის სულეტა, ვიქტორ პაჩეკო და თვით თამაშის დასასრულამდე ექვსი წუთით ადრე შესული ედისონ მაფლა დამაგვირგვინებელ ფაზებში სცოდავდნენ. უამრავი მომენტი კი შეიქმნა, მაგრამ თამაში თვალწარმტაცი სრულიადაც არ იყო, რადგან „კოპა ამერიკას" ტურნირში პირველად მონაწილე კოსტა რიკა ძალიან სუსტად გამოიყურებოდა. მედელინის კლუბ „ატლეტიკო ნასიონალის" 21 წლის თავდამსხმელმა ნიდერ მორანტესმა პირველ ათ წუთში ორჯერ ვერ ივარგა, თუმცა მალე „დანაშაული" თავადვე გამოასწორა და ზედიზედ ორჯერ შეაგდო — ორჯერვე ასისტენტობა კოლუმბიელთაგან საუკეთესომ, ვიქტორ პაჩეკომ გაუწია. ტაიმის დასასრულამდე დრო იყო, მაგრამ ბარანტესის კარში ბურთი არ შესულა. მეორე ნახევარიც იმგვარადვე წარიმართა. კოსტარიკელები ორჯერ გადასცდნენ ცენტრს და ერთიც შეაგდეს — მაურისიო რაიტმა ივაჟკაცა.

ამ მოგებით კოლუმბიამ მეოთხედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა, თუმცა ამისთვის სამხრეთ ამერიკაში ჯერჯერობით უძლეველი ბრაზილიის დამარცხება მოუწევს. კოლუმბიელთა მწვრთნელმა ერნან დარიო გომესმა შეხვედრის შემდეგ თქვა, ნაკრები ახალგაზრდულია, ძირითადს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ვასვენებ, მაგრამ ბრაზილიელთა ძლევის იმედი არ დამიკარგავს და რას ვიზამთ, რამდენიმე დღეში ვნახავთო: ამ ტურნირზე ახალ-ახალი მოთამაშეების აღმოჩენა მაქვს მიზნად დასახული — ძირითად ნაკრებსაც ხომ უნდა ჰყავდეს შემცვლელი. მექსიკასთან მარცხიც იმიტომ განვიცადეთ, რომ ფეხბურთელები პირველად თამაშობდნენ ერთად. ნაკრებს, კარგად ხედავთ, ბევრი აკლია. ვალდერამამ შეიძლება გუნდში აღარც ითამაშოს, არადა, ბოლო ათი წლის მანძილზე ნაკრების სული და გული იყო. სწორედ „კოპა ამერიკაზე" მინდა აღმოვაჩინო ისინი, რომლებიც ძირითადი ნაკრების ჭაპანს გაწევენ. ასე რომ, ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, ამ შეჯიბრს რაიმე გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებელი ეტაპია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| კოლუმბია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| მექსიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| კოსტა რიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | 0 |

### A ჯგუფი

**ეკვადორი 2:1 ჩილე**

**ეკვადორი:** იბარა, დე ლა კრუსი, მენდესი, კაპურო, მონტანო, სმიტი, კარაბალი, სანჩესი, გავიჩა (როსერო 67), ურტადო (დელგადო 80), გრაციანი
**ჩილე:** კოსიო, გომესი, პოლი, პონსი, როხასი, კორნეხო, ვალენსია, ოსორიო (ვილიაროელი 65), აკუნია (კასტილიო 75), ნუნიესი, ვერგარა (გონსალესი 80)
**გოლი:** 1:0 გრაციანი (33), 1:1 ვერგარა (52), 2:1 გავიჩა (56)

ეკვადორის გუნდმა, რომელმაც ყველას გასაკვირად A ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატების 87-წლიან ისტორიაში პირველად სძლია ჩილეს და ახლა მეოთხედფინალში C ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ ან მექსიკას, ანაც კოლუმბიას შეხვდება.

**არგენტინა 1:1 პარაგვაი**

**არგენტინა:** როა, ვივასი, როხენი, საპატა, პელეგრინო, რაულ კარდოსო, დელგადო, გალარდო, ბასედასი (პოსე 80), როდოლფო კარდოსო (ბერტი 69), კალდერონი (კრუსი 55)
**პარაგვაი:** შილავერი, არსე, აიალა, გამარა, ვილამაიორი, ალკარასი (ხარა 65), რ. როხასი, სტრავეი, აკუნია, ხოსე კარდოსო, ა. როხასი
**გოლი:** 0:1 შილავერი (75 პ), 1:1 გალარდო (90 პ)

რომ არა გალარდო, დანიელ პასარელა, ალბათ, დაემშვიდობებოდა კიდეც მწვრთნელის პოსტს. თამაშამდე არგენტინულ პრესაში კრიტიკის ისეთი ქარცეცხლი ატყდა, უარესს კაცი ვერც ნახავდა. ჟურნალისტები იმან აღაშფოთა, რომ ჩილელებთან ბოლო ხუთ წუთში ძლივსძლივობით მოგებული თამაში პასარელამ საკუთარ ტაქტიკურ სვლებს და ჭკვიანურ გადაწყვეტილებებს მიაწერა. პრესა პარაგვაისთან მხოლოდ მოგებას ითხოვდა და თან შთამბეჭდავ გამარჯვებას. ისე, რომელ სანახაობასა და საერთოდ მოგებაზეა საუბარი, როცა გუნდი თითო-ოროლა სახიფათო მომენტს ქმნის და თან პენალტსაც აფუჭებს. თუმცა, სჯობს თავიდან დავიწყოთ.

პირველ ათ წუთში ხოსე კარდოსომ ორჯერ ვერ ივარგა — ჯერ როამ აუღო, მერე კი მცირედით ააცილა. არგენტინელთა პირველი რეალური სახიფათო შეტევა კალდერონმა დაასრულა — ამანაც ააცილა. ჭიდაობით და ჯაჯგურით უხვად გაჯერებულ შუა ტაიმში საქმეში არბიტრი ჩაერია და მეტოქეთა თითო მობურთალი ყვითელი ბარათით დააშოშმინა. ამას ტაიმის ბოლოს ერთი პარაგვაელიც წაუმატა. მალე პელეგრინოს მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, თუმცა ვერ ივარგა. იგივე გაიმეორა როხასმა, რომლის თაურმა მატჩის საქცერად შეყრილი 9 ათასი კაცი ერთბაშად წამოახტუნა.

შესვენების შემდეგ თამაში უფრო უსიამოვნო სანახავი გახდა, რადგან ორივე გუნდმა ქულის გადარჩენაზე იწყო ფიქრი. ჩხუბის დაწყებასაც აღარაფერი უკლდა. დაძაბულობამ კულმინაციას 55-ე წუთზე მიაღწია, როცა ურუგვაელმა არბიტრმა შილავერის კარში პენალტი დანიშნა: მეკარემ არგენტინელთა ცნობილი პენალტისტის მარსელო გალარდოს დასაბნევად ოინბაზობას მიმართა — კარის ხაზზე დადიოდა, ხელებს იქნევდა და იღრიჯებოდა. შილავერის საცირკო ნომერს უკვალოდ არ ჩაუვლია — გალარდომ ბურთი მოუსვლელში გაგზავნა. გამოუყენებულმა პენალტმა არგენტინელები დააბნია და საკუთარ საჯარიმოსთან უწყინარ სიტუაციებში უხეშობა იწყეს, რითაც შილავერს საჯარიმოების შესრულების საშუალება მისცეს. პარაგვაელ მეკარეს ერთხელ არგენტინელმა კოლეგამაც აუღო. ნელ-ნელა უპირატესობას ბოლო 13 თვეში ერთადერთხელ დამარცხებული პარაგვაი ეუფლებოდა და მალე, როცა როხენი საჯარიმოში ვილამაიორს ეუხეშა, მსაჯმა მეორე პენალტი დანიშნა, ამჯერად არგენტინელთა კარში. ასეთ შანსს შილავერი ხელიდან როგორ გაუშვებდა და მანაც აჩვენა გალარდოს პენალტის დარტყმის ტექნიკა, როცა როა სულ სხვა კუთხეში გადაახტუნა, თავად კი საპირისპიროში შეაგდო. გოლმა არგენტინელები მეოთხედფინალში ვერგასვლის რეალური საფრთხის წინაშე დააყენა, თუმცა პარაგვაელებს იმ დღეს გამარჯვება არ ეწერათ — არგენტინელთა ბოლო შეტევას პენალტი მოჰყვა. იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს და გალარდომ ჩინებულ ხასიათზე მყოფი შილავერი მეორედ აღარ აზეირა და გააყაიმა, რითაც თავისიანებს მეოთხედფინალში ადგილი დაუბევა.

მატჩის მერე პასარელა თანამემამულე ჟურნალისტებს შემოსწყრა, ჩემს საქმეში ცხვირის ჩაყოფა რა თქვენი საქმეაო, თავიანთი უნიათო თამაში კი იმით გაამართლა, რომ ნაკრების ახლანდელი წევრები წელიწადში მხოლოდ რამდენიმე დღეს ისვენებენ და გადაღლილები არიან. საუბრის ბოლოს დასძინა, „კოპა ამერიკას" არას ვერჩი, აქ ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძვით. უბრალოდ, წელს ძალიან უდროო დროს ჩატარდაო.

A ჯგუფში თამაშები მორჩა. ორი მეოთხედფინალისტიც გაირკვა — ეკვადორი და არგენტინა, პარაგვაის კი ახლა სხვა ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასული გუნდების დაცდა და თავისი შედეგით მათთან გაჯიბრება მოუწევს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეკვადორი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| არგენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| პარაგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ჩილე | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

**ლაშა გოდუაძე**

## 20 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

# თამაში ყველამ [illegible]

### A ჯგუფი

**მალაიზია 1:3 მაროკო**

**ურუგვაი 3:0 ბელგია**

1:0 პოდესტა (40), 2:0, 3:0 კოელიო (55, 77)

ურუგვაელებმა წმინდა სამხრეთამერიკული სტილით დაჯაბნეს მეტოქე და ჯგუფის სათავეშიც მოექცნენ, არადა, ვარაუდობდნენ, რომ მხარეებს თანაბარი შანსები ჰქონდათ.

### C ჯგუფი

**განა 2:1 ირლანდია**

1:0 გამბო (28), 1:1 მოლიუ (35), 2:1 მუხტარი (67)

ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა — განამ დიდი ძალისხმევის შედეგად სძლია ერთი შეხედვით გადაულახავ ირლანდიის დაცვას. განელთა მეოთხე სახიფათო მომენტი გოლით დააგვირგვინა დორტმუნდის „ბორუსიის" ფორვარდმა ბაშირე გამბომ, თუმცა ირლანდიელებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა. მეორე ნახევარში მსოფლიოს 1995 წლის ჩემპიონები 17 წლამდე ფეხბურთელთა შორის, განელები, აღელდნენ, მაგრამ მუხტარის გოლმა ყველაფერი გადაწყვიტა. მატჩის მერე ირლანდიელთა მწვრთნელი ბრაიან კერი ამბობდა, ვიცოდი, მეტოქე ფიზიკურად რომ გვაჯობებდა, ამიტომ ტექნიკით დაპირისპირება გადავწყვიტეთ. გაშვებული გოლები კი თავიანთ უყურადღებობას დააბრალა და არა განის სიძლიერეს.

**აშშ 1:0 ჩინეთი**

1:0 ვესტი (90)

პირველ წუთებში ჩინელებმა ვერ ივარგეს, მერე კი მთელი ერთი საათი ამერიკელები აქტიურობდნენ, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეს. ის კი არა, ერთიორჯერ მეტოქის ფეხბურთელებს კონტრშეტევები გააზრებულად რომ განეხორციელებინათ, შეხვედრა როგორ დასრულდებოდა, არავინ იცის. 88-ე წუთზე ამერიკელთა თავკაცმა მოედანზე ბრაიან ვესტი შეუშვა და მანაც ბოლო წამებზე რთული კუთხიდან ზუსტად დაარტყა, რითაც თავისიანებს სამი ქულა მოუტანა.

### B ჯგუფი

**ბრაზილია 3:0 საფრანგეთი**

1:0 ალექსი (5), 2:0 ადაილტონი (61), 3:0 სილვესტრი (90 საკ. კარში)

ამ ტურნირში 1977 წლის შემდეგ პირველად მოთამაშე ფრანგები ერთობ ტექნიკურმა ბრაზილიელებმა გაალამტვერეს. არადა, მატჩის წინ ფრანგთა მწვრთნელი ჟერარ ულიე და გუნდის კაპიტანი ტიერი ანრი ამბობდნენ, ჩვენ და ბრაზილია მსოფლიოს ორი უძლიერესი საფეხბურთო ქვეყანა ვართ და ჩვენი შეხვედრა ნამდვილად ნაადრევი ფინალი იქნებაო. პირველივე წუთებიდან მსოფლიოს 20 წლამდე ჩემპიონატის სამჯერ მომგებმა ბრაზილიელებმა მეტოქე კარს მიაჯაჭვეს და მალე ალექსიმ ჩინებული რეიდი გოლით დააგვირგვინა. მერე ფრანგებმა, 11 კაციდან 8 რომ ზანგი ჰყავდათ, იძალეს, მაგრამ მეორე ტაიმის შუაში მეორე გაუშვეს. შეხვედრის ბოლო წუთზე კი თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონმა სილვესტრმა ბურთი საკუთარ კარში შეაგდო. ახლა ფრანგებმა ჯგუფში დარჩენილი ორი შეხვედრა უნდა მოიგონ, თორემ ტურნირისწინა ამბიციები ვერ უშველით.

**კორეა 0:0 სამხრეთი აფრიკა**

აზიის ჩემპიონის და აფრიკის მეორე პრიზიორის მატჩის პირველი ტაიმი მეორესთან შედარებით საინტერესო გამოდგა. პირველ წუთებში აზიელები აქტიურობდნენ, მერე უპირატესობა შავი კონტინენტის შვილებს ეპყრათ ხელთ. მეორე ტაიმში კი ჯაჯგური დაიწყო და ამ სამხრეთ-სამხრეთი ქვეყნების თამაშიც უგოლოდ დასრულდა.



ფრანგმა გალამ ბრაზილიელ ადაილტონს (11) ხელი ვერ შეუშალა

### D ჯგუფი

**იაპონია 1:2 ესპანეთი**

**კოსტა-რიკა 1:1 პარაგვაი**

### E ჯგუფი

**უნგრეთი 0:3 არგენტინა**

**ავსტრალია 0:0 კანადა**

### F ჯგუფი

**მექსიკა 5:0 საამიროები**

**კოტ დივუარი 1:2 ინგლისი**

რა დრო დადგა — კოტ დივუარში ანუ სპილოს ძვლის სანაპიროზე სპილო აღარ დარჩა, მაგრამ ფეხბურთის თამაში ისწავლეს, ინგლისელებს კი თვით ამ უსპილოებთანაც ნამეტანი გაუჭირდათ, თან წვიმით გაჟღენთილ მოედანზე. თავიდან ყველაფერი ლოგიკურად აეწყო და მეხუთე წუთზევე მარკ ოუენმა პენალტით დააწინაურა ფეხბურთის გამომგონებლები. მერე კი აფრიკელებმა ისე იძალეს, ლამის 15 წუთი ახალგაზრდა ინგლისელები მეტოქის ნახევარზე ერთხელღა გადავიდნენ, თუმცა ეს ერთი კონტრშეტევაც ფოჯელ მსაჯს რომ არ მორიდებოდა, მეორე პენალტით დამთავრდებოდა. ასე არ მოხდა და ცხადია, ბურთი საპირისპირო კარში გავიდა — აფრიკელებმა მარჯვენიდან ჯარიმა ჩააწოდეს და გისემ თაურით (!) გაათანაბრა. აქ აშკარად შეცდა ევროპელთა მეკარე, თუმცა 68-ე წუთზე მას შავმა კოლეგამაც მიბაძა და პოლ შეპერდმა ინგლისის რეპუტაცია გადაარჩინა.

ბავშვთა კვება
Gerber
ახალი სიცოცხლის
უმშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა
☎ 39-47-83

## ფეხბურთის რუკასთან



აშშ-ის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ისრაელის გუნდს უმასპინძლა და 2:1 სძლია. ამერიკელთაგან გოლები ალექსი ლალასმა და იოვან კიროვსკიმ გაიტანეს. სტუმრების ერთადერთი საპასუხო გოლი მოშე გლანმა 82-ე წუთზე შეაგდო.

**იტალიის „რომას" პრეზიდენტმა ფრანჩესკო სენსიმ განაცხადა, ლევერკუზენელებს უკვე შევუთანხმდი და გაისად პაულო სერჯიო ჩვენთან ითამაშებსო. იტალიურ მხარეს „ბაიერის" ბრაზილიელ ნახევარმცველში 4 მილიონ 600 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.**

იუგოსლაველი ნახევარმცველი ვლადიმერ იუგოვიჩი ტურინის „იუვენტუსიდან" რომის „ლაციოში" გადაბარგდა. თავად ვლადიმერმა განაცხადა, ტურინიდან რომ მივდივარ, გული მწყდება, აქ ხომ კარიერის საუკეთესო წლები გავატარეო. იუგოვიჩმა „ლაციოსთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი წელიწადში მილიონ 200 ათასს მიიღებს.

**ზიმბაბველი ფორვარდი ვილფრედ მუგეი, რომელიც სამხრეთ აფრიკის კლუბ „უმტატა ბაგსში" თამაშობს, ჟურნალისტებმაც და ფეხბურთელებმაც საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მუგეიმ ბომბარდირთა დავაშიც იმარჯვა — მის 22 გოლს ვერავინ შეწვდა.**

იტალიის სერია A-ში წელს გადასულმა „ბარიმ" მწვრთნელ ეუჯენიო ფაკეტის კონტრაქტი განუახლა. 1995 წელს სერია A-დან გავარდნილმა გუნდმა, რომელსაც მაშინაც ფაკეტი წვრთნიდა, არიგო საკის მიწვევა სცადა, მაგრამ ბოლოს კვლავ ეუჯენიო დაიტოვა.

**ლატვიის თასის ფინალში რიგის „სკონტომ" 2:1 აჯობა „დინაბურგს", არადა გამარჯვებულები პირველი ტაიმის მერე აგებდნენ კიდეც.**

ინგლისის „ლივერპული" პრემიერლიგიდან გავარდნილი „მიდლსბროს" შეეხმიანა, რავანელი მომყიდეო. იტალიელი თავდამსხმელის აგენტმა უმალ დაიწყო ტრანსფერის გარჩევა, თუმცა განაცხადა, ფაბრიციოც თანახმაა, „ლივერპულიც", უბრალოდ, ხელს „მიდლსბრო" გეშლისო.

**ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსი, ვინც კარიერის უმეტესი ნაწილი „აიაქსში" გაატარა, 7 მილიონ გირვანქად ლონდონის „არსენალში" გადავიდა. მეთოფეთა ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხა-**



მარკ ოვერმარსი

**და, გამარჯვების მისაღწევად გამარჯვებულის ფსიქოლოგიის მქონე ფეხბურთელებია საჭირო, ოვერმარსი კი ზუსტად ასეთად მესახებაო. „მარჯი ძლიერი ფეხბურთელია. ვგონებ, მან უნდა გაამართლოს ჩვენი იმედები" — თქვა მწვრთნელმა.**

ჩეხეთის, კერძოდ კი პრაღის „სპარტას" ნახევარმცველი მარტინ ფრიდეკი, შესაძლოა, ლევერკუზენის „ბაიერნში" გადავიდეს. იგი გასულ კვირას შეუთანხმდა გუნდს, თუმცა კონტრაქტი დღემდე არ გაფორმებულა, რადგან ბოლოს გერმანელებმა პირი გატეხეს და ჩეხებს ვაჭრობა დაუწყეს.

**შვეიცარიელი მცველი სტეფან ენჩოსი ახალ სეზონს ალბათ „ბლეკბერნში" დაიწყებს. „ჰამბურგის" მცველმა კარიერის ინგლისში გაგრძელებაზე თანხმობა განაცხადა. პრემიერლიგის 1995 წლის ჩემპიონ „ბლეკბერნს" ენჩოსში დაახლოებით 4 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.**

ესპანეთის ჩემპიონატის 41-ე ტურის ორშაბათის ბოლო მატჩში ბილბაოს „ატლეტიკმა" „დეპორტივოს" უმასპინძლა და 1:0 მოიგო. ერთადერთი გოლი იულენ გერერომ შეაგდო.

**საფრანგეთის პსჟ-ს ფორვარდი სირილ პოჟე სამი წლით „ლე ავრში" გადაბარგდა. შარშან პოჟე პარიზელთა კლუბში ჟენევის „სერვეტიდან" გადავიდა, თუმცა ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და გაცლა ამჯობინა.**

რუმინეთის „სტაუას" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა 33 წლის მიხაი სტოიჩიტა, რომელიც აქამდე ბავშვთა გუნდებს, შედარებით ახლო წარსულში კი ბუქარესტის „დინამოს" თავკაცობდა. სტოიჩიტამ მწვრთნელის პოსტზე დუმიტრუ დუმიტრიუ შეცვალა, ვისი თავკაცობითაც გუნდმა სამჯერ რუმინეთის ჩემპიონობა და ორჯერ თასი მოიპოვა.

**შოტლანდიელი გრემ სუნესი მომავალი ორი წლის განმავლობაში „ტორინოს" უთავკაცებს. „სამპდორიას" შემადგენლობაში იტალიის თასის 1985 წლის გამარჯვებულმა სუნესმა თქვა, ჩვენ თუ სერია A-ში დაბრუნება გვინდა, ორი-სამი ახალი ფეხბურთელი უნდა ვიყიდოთო.**

პორტუგალიელი ლუის ბოამორტე, რომელიც გასულ სეზონში ლისაბონის „სპორტინგის" ღირსებას იცავდა, გაისად ლონდონის „არსენალში" იასპარეზებს. პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების შეუცვლელი წევრის ბოამორტეს ტრანსფერი მილიონ 750 ათასი გირვანქა დაჯდა.

**ჰოლანდიის „აიაქსმა" იაპონიის კლუბ „ვისელ კოუბიდან" მიქაელ ლაუდრუპი შეისყიდა. 33 წლის დანიელთან „აიაქსმა" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა მეორე წლის პერსპექტივით.**

შვედი ტომას ბროლინი დიდ შარში გაეხვია. ჯერ კიდევ „ლიდსთან" კონტრაქტით დაკავშირებულ, მაგრამ სხვა კლუბში მოთამაშეს ინგლისელებმა შეუთვალეს, თუ სამ დღეში არ ჩამოხვალ, საქმე ცუდად წაგივა, სასამართლოში გიჩივლებთო. „ლიდსის" ადვოკატმა პეტერ მაკკორმეკმა განაცხადა, რომ აინტერესებთ, შეძლებს თუ არა ტომასი პრემიერლიგაში თამაშს.

**გერმანიის 1995 და 1996 წლების ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიის" მწვრთნელად, შესაძლოა, იტალიელი ნევიო სკალა დაინიშნოს. 49 წლის სკალას ადრე „პარმაში" უმუშავია და იქ თასების თასი, უეფას თასი, ევროპის სუპერთასი, იტალიის თასი და ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოუგია, ამ სეზონში კი გავარდნილ „პერუჯას" წვრთნიდა.**

ავსტრალიის ნაკრებმა 6:2 მოუგო სოლომონის კუნძულებს და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შემდეგ წრეში გავიდა. პირველი მატჩი მათ შორის ასევე ავსტრალიელებმა მოიგეს 13:0.

**საფრანგეთის ნაკრების დისკვალიფიცირებულ მეკარე ბერნარ ლამას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ, მიუხედავად თამაშებიდან ორთვიანი მოკვეთისა, სხვა ქვეყნის კლუბში გადასვლის ნება მისცა.**

ჩეხი მეკარე პეტრ კოუბა, შესაძლოა, ლა-კორუნის „დეპორტივოდან" გერმანიის ბუნდესლიგაში წელიწადის შემდეგ დაბრუნებულ „კაიზერსლაუტერნში" გადავიდეს. თუ ტრანსფერი შედგა, მაშინ კოუბა „კაიზერსლაუტერნის" მესამე ჩეხი ლეგიონერი იქნება პაველ კუკას და მიროსლავ კადლეცის შემდეგ.

**იტალიელები — რავანელი, პანუჩი, კოსტაკურტა, დი ლივიო, პერუცი და დი მატეო მომღერლებთან, მსახიობებთან და ტელევიზიის ვარსკვლავებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საქველმოქმედო მატჩში, რომელიც დღეს საღამოს ლეჩეში დაავადებულ ბავშვებისთვის გაიმართება.**

გერმანელი მარკუს ბაბელის ხვედრი, ეტყობა, ძალიან მობეზრდა „მანჩესტერ უნაიტედს". ინგლისელთა თავმჯდომარემ მარტინ ედვარდსმა განაცხადა, კალთებს არავის დავახევთ, თუ მარკუსს ჩვენთან წამოსვლა ეწადა, აქამდე წამოსულიყოო.

**იტალიის თასის ფინალში ძლეული „ნაპოლის" ახალი მწვრთნელი ბორტოლო მუტი ნეაპოლელ ტიფოზებს შეჰპირდა, რომ მომავალი სეზონი „ნაპოლისათვის" გაცილებით უკეთესი იქნება. მუტის თქმით, კარგია კალდერონი და ბელუჩი დროზე რომ შეიძინეს, შეტევა გაძლიერდებაო. რობერტო ბაჯოზე კი განაცხადა, ჩემთვის დიდი პატივი იქნება ამგვარ ფეხბურთელთან მუშაობა, თუმცა მე ვფიქრობ, გადმოსვლაზე დაგვთანხმდესო.**

შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსმა" შესაძლოა, ჰოლანდიის უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნილი „აზ-67"-ის მეკარე ოსკარ მუენსი შეიძინოს. თავად მეკარემ რამდენიმე ხნის წინ ათწლიანი კონტრაქტი გააფორმა „აზ-67"-თან, თუმცა, საეჭვოა, „გლაზგო რეინჯერსის" მიწვევაზე უარი თქვას და კლუბში დარჩეს.

**ვიეტნამის ნაკრების მწვრთნელმა ლე დინ ჩინმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უამრავი მარცხის გამო მწვრთნელობა მიატოვა. ისე, 52 წლის დინ ჩინს გუნდთან კონტრაქტი შესარჩევი ტურნირის ჩამთავრებამდე ჰქონდა.**



გუსტავო პოიეტი

ურუგვაელმა გუსტავო პოიეტმა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ ესპანეთის „სარაგოსადან" ლონდონელის „ჩელსიში" გადავიდა, განაცხადა, ინგლისის თასის მფლობელ გუნდში თამაში მარადონამ მირჩიაო. პოიეტის თქმით, დიეგომ ტრანსფერის წინა დღეს დაურეკა და უთხრა, „ჩელსიში" რუდ გულიტი და ჯანფრანკო ძოლა არიან, ორივე დიდებული პიროვნება და ფეხბურთელია და თუ სხვაგან წასვლას დააპირებ, უკეთეს ადგილს ვერსად ნახავო.

**გერმანელი ბერნდ შუსტერი მექსიკური „უნამიდან" სამშობლოში დაბრუნდა. ევროპის 1980 წლის ჩემპიონი კიოლნში ჩავიდა მწვრთნელთა კურსებზე შესასვლელად, თუმცა გერმანული პრესის მიერ „ქერა ანგელოზად" მონათლულ შუსტერს მეორე ბუნდესლიგის კიოლნის „ფორტუნამ" პრაქტიკული სამუშაოც შესთავაზა.**

### რუსეთი

მე-14 ტური: ალანია — შინიკი 5:2, როტორი — ჟემჩუჟინა 3:1, დინამო — ტორპედო 1:1, ლოკომოტივი — კამაზი 2:0, ბალტიკა — ზენიტი 2:2, ნოვგოროდი — ჩერნომორეცი 2:3, როსტსელმაში — ცსკა 1:1, ტიუმენი — კრილია სოვეტოვი 1:0, ფაკელი — სპარტაკი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 14 | 9 | 4 | 1 | 23:6 | 31 |
| როტორი | 14 | 9 | 3 | 2 | 26:11 | 30 |
| დინამო | 14 | 8 | 3 | 3 | 16:7 | 27 |
| ტორპედო | 14 | 6 | 3 | 5 | 22:17 | 21 |
| ლოკომოტივი | 14 | 5 | 6 | 3 | 19:15 | 21 |
| როსტსელმაში | 14 | 5 | 6 | 3 | 14:11 | 21 |
| ჩერნომორეცი | 14 | 5 | 6 | 3 | 15:14 | 21 |
| ალანია | 14 | 6 | 2 | 6 | 23:15 | 20 |
| ჟემჩუჟინა | 14 | 5 | 5 | 4 | 9:9 | 20 |
| კრილია | 14 | 5 | 2 | 7 | 7:13 | 17 |
| ზენიტი | 14 | 4 | 5 | 5 | 9:14 | 17 |
| ბალტიკა | 14 | 3 | 8 | 3 | 15:13 | 17 |
| ცსკა | 14 | 4 | 4 | 6 | 11:16 | 16 |
| კამაზი | 14 | 5 | 0 | 9 | 15:27 | 15 |
| შინიკი | 14 | 3 | 6 | 5 | 11:20 | 15 |
| ნ.ნოვგოროდი | 14 | 4 | 2 | 8 | 8:16 | 14 |
| ტიუმენი | 14 | 3 | 4 | 7 | 10:17 | 13 |
| ფაკელი | 14 | 2 | 1 | 11 | 5:18 | 7 |

## ქეცბაია და ქინქლაძე 9 აგვისტოს იწყებენ

ორშაბათს ინგლისელებმა ახალი, 1997-98 სეზონის პრემიერლიგისა და პირველი დივიზიონის თამაშების განრიგი გამოაქვეყნეს. ცხადია, ამ ლიგებისადმი ჩვენი ინტერესი თემურ ქეცბაიას „ნიუკასლში" და გიო ქინქლაძის „მანჩესტერ სიტიში" თამაშითაცაა განპირობებული. სრულ კალენდრებს აგვისტოს დასაწყისში შემოგთავაზებთ, დღეს კი ჩვენებურთა გუნდების განრიგი ვიკმაროთ.

### ნიუკასლი

| | |
|---|---|
| 09.08.97 | ნიუკასლი — შეფილდ უენსდეი |
| 23.08.97 | ნიუკასლი — ასტონ ვილა |
| 30.08.97 | ლივერპული — ნიუკასლი |
| 13.09.97 | ნიუკასლი — უიმბლდონი |
| 20.09.97 | ვესტ ჰემი — ნიუკასლი |
| 24.09.97 | ნიუკასლი — ევერტონი |
| 27.09.97 | ჩელსი — ნიუკასლი |
| 04.10.97 | ნიუკასლი — ტოტენჰემი |
| 18.10.97 | ლიდსი — ნიუკასლი |
| 25.10.97 | ნიუკასლი — ბლექბერნი |
| 01.11.97 | ნიუკასლი — ლესტერი |
| 08.11.97 | ქოვენტრი — ნიუკასლი |
| 22.11.97 | ნიუკასლი — საუთჰემპტონი |
| 29.11.97 | კრისტალ პალ. — ნიუკასლი |
| 02.12.97 | ბოლტონი — ნიუკასლი |
| 06.12.97 | ნიუკასლი — არსენალი |
| 13.12.97 | ბარნსლი — ნიუკასლი |
| 17.12.97 | ნიუკასლი — დერბი ქაუნთი |
| 20.12.97 | ნიუკასლი — მანჩესტერ იუნ. |
| 26.12.97 | დერბი ქაუნთი — ნიუკასლი |
| 28.12.97 | ნიუკასლი — ლივერპული |
| 10.01.98 | შეფილდ უენს. — ნიუკასლი |
| 17.01.98 | ნიუკასლი — ბოლტონი |
| 31.01.98 | ასტონ ვილა — ნიუკასლი |
| 07.02.98 | ნიუკასლი — ვესტ ჰემი |
| 14.02.98 | უიმბლდონი — ნიუკასლი |
| 21.02.98 | ნიუკასლი — ლიდსი |
| 28.02.98 | ევერტონი — ნიუკასლი |
| 07.03.98 | ლესტერი — ნიუკასლი |
| 14.03.98 | ნიუკასლი — ქოვენტრი |
| 28.03.98 | საუთჰემპტონი — ნიუკასლი |
| 04.04.98 | ნიუკასლი — კრისტალ პალ. |
| 11.04.98 | არსენალი — ნიუკასლი |
| 13.04.98 | ნიუკასლი — ბარნსლი |
| 18.04.98 | მანჩესტერ იუნ. — ნიუკასლი |
| 25.04.98 | ტოტენჰემი — ნიუკასლი |
| 02.05.98 | ნიუკასლი — ჩელსი |
| 10.05.98 | ბლექბერნი — ნიუკასლი |

### მანჩესტერ სიტი

| | |
|---|---|
| 09.08.97 | სიტი — პორტსმუთი |
| 16.08.97 | სანდერლენდი — სიტი |
| 23.08.97 | სიტი — ტრანმერი |
| 30.08.97 | ჩარლტონი — სიტი |
| 03.09.97 | ნოტინგემი — სიტი |
| 06.09.97 | სიტი — ქრუ ალექზანდრა |
| 13.09.97 | ბარი — სიტი |
| 20.09.97 | სიტი — ნორვიჩი |
| 27.09.97 | სიტი — სვინდონი |
| 04.10.97 | იფსვიჩი — სიტი |
| 11.10.97 | ვესტ ბრომვიჩი — სიტი |
| 18.10.97 | სიტი — რედინგი |
| 22.10.97 | სიტი — სტოკ სიტი |
| 25.10.97 | ქუინზ პარკი — სიტი |
| 01.11.97 | ოქსფორდი — სიტი |
| 05.11.97 | სიტი — პორტ ველი |
| 08.11.97 | სიტი — ჰადერსფილდი |
| 15.11.97 | შეფილდ იუნაიტედი — სიტი |
| 22.11.97 | სიტი — ბრედფორდი |
| 29.11.97 | სტოკპორტი — სიტი |
| 06.12.97 | სიტი — ვულვერჰემპტონი |
| 13.12.97 | ბირმინგემი — სიტი |
| 20.12.97 | სიტი — მიდლსბრო |
| 26.12.97 | ქრუ ალექზანდრა — სიტი |
| 28.12.97 | სიტი — ნოტინგემი |
| 10.01.98 | პორტსმუთი — სიტი |
| 17.01.98 | სიტი — სანდერლენდი |
| 28.01.98 | სიტი — ჩარლტონი |
| 31.01.98 | ტრანმერი — სიტი |
| 07.02.98 | ნორვიჩი — სიტი |
| 14.02.98 | სიტი — ბარი |
| 18.02.98 | სიტი — იფსვიჩი |
| 21.02.98 | სვინდონი — სიტი |
| 24.02.98 | რედინგი — სიტი |
| 28.02.98 | სიტი — ვესტ ბრომვიჩი |
| 03.03.98 | ჰადერსფილდი — სიტი |
| 07.03.98 | სიტი — ოქსფორდი |
| 14.03.98 | პორტ ველი — სიტი |
| 21.03.98 | სიტი — შეფილდ იუნაიტედი |
| 28.03.98 | ბრედფორდი — სიტი |
| 04.04.98 | სიტი — სტოკპორტი |
| 11.04.98 | ვულვერჰემპტონი — სიტი |
| 13.04.98 | სიტი — ბირმინგემი |
| 18.04.98 | მიდლსბრო — სიტი |
| 25.04.98 | სიტი — ქუინზ პარკი |
| 03.05.98 | სტოკ სიტი — სიტი |

*ზემოთ მოყვანილი განრიგი ოდნავ შეიცვლება მას შემდეგ, რაც გაირკვევა „სქაი სპორტის" მიერ პირდაპირი ტელეტრანსლაციისთვის შესყიდული მატჩების სია. ასეთი მატჩები, ტრადიციულად, შაბათის ნაცვლად კვირას ან ორშაბათს იმართება ხოლმე.*

## შეშლილი შეშლილი შეშლილი რუსეთი

### მოკლეს მოსკოვის „სპარტაკის" გენერალური დირექტორი

კვირა საღამოს მოსკოვთან ახლოს მდებარე დაბა ტარატინოში, საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს რუსეთის უპირველესი გუნდის — მოსკოვის „სპარტაკის" გენერალური დირექტორი, 45 წლის ლარისა ნეჩაევა, რომელსაც თავში ჰქონდა ნასროლი. მასთან ერთად მოკლეს ნეჩაევას სტუმარი მეგობარი ქალი. უგონოდ მყოფი, მძიმედ დაჭრილი ძმა, რომელიც მასთან მძღოლად მუშაობდა, მოსკოვის ერთ-ერთი საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში მოათავსეს და თან დაცვა მიუჩინეს. ამ შემთხვევამ მთელი რუსეთი აალაპარაკა და უმალვე დაიწყო საქმის გამოძიება. რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა შექმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელმაც იმ დღესვე დაიწყო სამხილელი მასალების ძიება. მალე დადგინდა, რომ მკვლელობა ძარცვის მიზნით არ იყო ჩადენილი, რადგან ძვირფასი ნივთებით და ანტიკვარული ავეჯით მოწყობილ სახლში ყველაფერი თავის ადგილზე იყო. აქედან გაჩნდა ეჭვი, რომ მკვლელობა დაკვეთით შეასრულა ამ საქმის პროფესიონალმა.

თავად ნეჩაევა „სპარტაკში" 1994 წელს მოვიდა კრასნოდარიდან, სადაც გაზისა და ნავთობის ერთ-ერთი ძლიერი კომპანიის მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. „სპარტაკში" იგი კლუბის პრეზიდენტის ოლეგ რომანცევის შემდეგ მეორე გავლენიანი პირი იყო. ახალგაზრდობაში, რომანცევი და ლარისა კრასნოდარში თანაკლასელები ყოფილან და გარკვეულ წილად ამანაც განაპირობა ლარისას წინსვლა. სწორედ გარდაცვლილის ძალისხმევის შედეგად მოხდა, რომ მოსკოვის „სპარტაკს" სამი წლის წინ სპონსორად რუსეთში გაზის მომპოვებელი უდიდესი კომპანია „ურენგოიგაზპრომი" მოევლინა, რომელსაც მაშინ რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი თავკაცობდა.

მოკლედ, ქალბატონ ლარისას სიკვდილი ჯერაც საიდუმლოებითაა მოცული, თუმცა, არის რამდენიმე ვერსია. გაიხსენეს, რომ ნეჩაევას, როდესაც კრასნოდარში ცხოვრობდა, მყარი კავშირები ჰქონდა ვლადიმერ ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიასთან. მოსკოვში გადასვლის შემდეგ მის ლიდერთან ურთიერთობები გაუფუჭდა, ამიტომაც ერთნი თვლიან, რომ მკვლელობა ზემოთხსენებულმა პარტიამ მოაწყო. მავანთა ატაცებული ეს აზრი „სპარტაკის" წარმომადგენელმა ალექსანდრ ლვოვმა უარყო — ლარისას მასთან გართულებული ურთიერთობები არ ჰქონია, პირიქით, ჟირინოვსკი მას შემდეგ უფრო დაუახლოვდა, რაც პოლიტიკას ჩამოშორდაო. ცხადია, ეს ვერსია არც ისეთი დამაჯერებელი იყო და ხელადვე უარყვეს, მეორე კი ნამდვილად ყურადსაღებია: წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, რომ რუსეთის სახალხო ტელევიზიის — OPT-ს, ზაფხულში უნდა შეესყიდა „სპარტაკის" თამაშების ტრანსლირების უფლება. სანაცვლო თანხა ძალიან დიდი იყო, თუმცა OPT ამას აინუნშიც არ აგდებდა, რადგან მოგება გარანტირებული ჰქონდა. ტელევიზიასა და გუნდს შორის ერთი წინაღობა — ლარისა ნეჩაევა წარმოიშვა და რუსეთის ერთ-ერთმა გავლენიანმა მაფიოზურმა კლანმა, რომელიც ამავდროულად ტელევიზიას აკონტროლებს, უბრალოდ იგი მოიშორა. ეს ვერსია სამშაბათს გაზეთ „კომერსანტის" ჟურნალისტმა მაქსიმ ბარიდვინმა წამოაყენა და უმალვე მიქცია კიდეც ყურადღება.

ასეა თუ ისე, ჯერ საქმეს ნათელი არ მოჰფენია. ლარისა ნეჩაევა რუსეთის ხოკეის ფედერაციის 60 წლის პრეზიდენტის ვალენტინ სიჩის შემდეგ სპორტულ სამყაროს მეორე გავლენიანი პირია, რომელიც დაუდგენელმა მკვლელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

ლაშა გოდუაძე

ფეხბურთი

# ჯოვანი ტრაპატონი: ფეხბურთი და „კოზა ნოსტრა“

**ჯოვანი ტრაპატონიმ თავის უამრავ ჯილდოს გერმანიის ჩემპიონობაც მიუმატა. ჯიუტმა იტალიელმა, მართალია, მეორე ცდით, მაგრამ მაინც გააჩემპიონა მიუნხენის „ბაიერნი“. ჟურნალმა „შპორტ-ბილდმა“ მწვრთნელის შესახებ გერმანელთათვის ჯერ კიდევ უცნობი ფაქტები გამოამზეურა. ვფიქრობთ, არც ჩვენი მკითხველისთვის იქნება უინტერესო ზოგიერთი რამ ტრაპატონის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან.**

*მეტსახელი:* ილ ტედესკო (იტალიურად გერმანელს ნიშნავს)
დაიბადა 1939 წლის 17 აპრილს კუზანო მილანინოში
სიმაღლე: 170 სმ. წონა: 74 კგ.
პროფესია: გამომცემელი, მწვრთნელი
მეუღლე: პაოლა
შვილები: 20 წლის ალბერტო და 30 წლის ალექსანდრა.
შვილიშვილი: 5 წლის რიკარდო







*საფეხბურთო კარიერა:* „მილანის“ შემადგენლობაში (1955-1971) იტალიის 1962 და 1968 წლების ჩემპიონი, 1967 წლის იტალიის თასის მფლობელი, 1963 და 1969 წლების ჩემპიონთა თასის მფლობელი, 1969 წლის საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. 1971-1972 წლებში თამაშობდა „ფარენსეში“. 1960 წელს იყო ოლიმპიური ნაკრების წევრი. სერია A-ში 284 მატჩი ჩაატარა და სამი გოლი გაიტანა. ევროპულ თასებზე 31 მატჩი ითამაშა, ნაკრებში — 17 და ერთი გოლი გაიტანა.

*სამწვრთნელო კარიერა:* 1972-1976 წლებში „მილანს“ წვრთნიდა (1974 წლამდე — ახალგაზრდულ გუნდს), 1976-1986 და 1991-1994 წლებში კი ტურინის „იუვენტუსს“ თავკაცობდა. 1977, 1978, 1981, 1982, 1984, 1986 — ამ წლებმა იტალიის ჩემპიონობა მოუტანა. 1977 და 1993 წელს უეფას თასი მოიპოვა, 1979 და 1983-ში კი — იტალიის თასი. 1984 წელს მოიგო ევროპის თასის მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასი, 1985-ში — ჩემპიონთა თასი და საკონტინენტთაშორისო თასი. 1993 წელს უეფას თასი დაისაკუთრა. 1986-1991 წლებში მილანის „ინტერს“ ედგა სათავეში, 1989-ში გუნდი ჩემპიონი გახადა, 1991-ში კი — უეფას თასის მფლობელი, 1994-1995 წლებში მიუნხენის „ბაიერნში“ იყო, 1995-1996 წლებში — „კალიარიში“. 1996 წლიდან კვლავ „ბაიერნშია“, 1997 წლის გერმანიის ჩემპიონია.

*ლეგენდა ტრაპატონიზე:* 1963 წელს იტალიელებმა მილანში ბრაზილია 3:0 დაამარცხეს. ტრაპატონი მსოფლიოში პირველი ფეხბურთელი იყო, ვინც პელეს ჩაკეტვა შეძლო. პელე 26 წუთის შემდეგ გამოცვალეს და ეს იმით ახსნეს, ფეხი იტკინაო. თუმცა, მართლა მიიღო თუ არა პელემ ტრავმა, არავინ იცის.

*ჯოვანის უდიდესი მატჩი:* 1963 წელს „უემბლის“ სტადიონზე „მილანმა“ ლისაბონის „ბენფიკა“ 2:1 სძლია და იტალიელებს პირველი ევროპული თასი მოუტანა. ეუსებიოს შეჩერება პირველი 20 წუთის მანძილზე ვერავინ შეძლო, მაგრამ მწვრთნელმა ნერო კორომ პორტუგალიელს ტრაპატონი მიუჩინა, რაც გამარჯვების საწინდარი აღმოჩნდა.

*ტრაპატონის უსაყვარლესი გოლი:* წაგების მიუხედავად, „ტრაპის“ უძვირფასესად საკონტინენტთაშორისო თასის მატჩში პელეს „სანტოსის“ კარში გატანილი გოლი მიაჩნია.

*ყველაზე მწარე მარცხი:* 1983 წელს „იუვენტუსის“ წაგება „ჰამბურგთან“ ჩემპიონთა თასზე. „ეს დღესაც გულს მტკენს“ — ამბობს ტრაპი.

*სამაგალითო ფეხბურთელი:* ალფრედო დი სტეფანო (მადრიდის „რეალი“) და სკიაფინო (ურუგვაი)

*სამაგალითო მწვრთნელი:* ნერო კორო

*ყველაზე დიდი დაუფასებლობა:* 1986 წელს „იუვენტუსის“ მეექვსედ გაჩემპიონება გუნდს მიაწერეს და არა მწვრთნელს, მაგრამ, როგორც კი ტრაპატონი წავიდა, უმალ „იუვეს“ დაღმასვლა დაიწყო და ეს 1995 წლამდე გაგრძელდა.

*საყვარელი ქალაქი:* რომი, მისი მეუღლე რომაელია.

*პირველი პაემანი მეუღლე პაოლასთან:* ტრაპატონი ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად რომის სამხრეთით მდებარე ფრასკატის მთებში იმყოფებოდა სპორტულ ბაზაზე. ვახშმის შემდეგ ფეხბურთელები ბარში წავიდნენ ყავის დასალევად. სათამაშო აპარატებთან ბარის მეპატრონის ქალიშვილი პაოლა იდგა...

*ტრაპატონის „კოზა ნოსტრა“:* თავის უახლოეს მეგობარ, ავტომექანიკოს პასკუალესთან ერთად ჯოვანიმ მილანის შემოგარენში — კონსელო ბალზამოში პროფილაქტიკა გახსნა. მილანელები უმეტესად სწორედ მის პროფილაქტიკაში დადიან...

*მანქანა:* წითელი ფერის „ოპელ-ომეგა“ MV6. თავის მეუღლეს მან ახალი „მერსედეს SLK“ აჩუქა.

*საყვარელი დასასვენებელი ადგილი:* სამხრეთ ტოსკანის სოფელი ტალამონე. აქ ტრაპატონის სახლი აქვს, რომელიც ნავსაყუდელს გადაჰყურებს. ნავსაყუდელში კი მისი ნავი დგას.

*ნავი:* იგი 15-მეტრიანია და ათ კაცს იტევს. აქვს აფრა და მოტორი. ტრაპი ჭეშმარიტი კაპიტანია, კარგად ერკვევა ნავიგაციაში. ხშირად მარტო დაცურავს ხოლმე 15 კილომეტრს და მარტოდმარტო დარჩის უკაცრიელ კუნძულზე. ბოლო შვებულება, გერმანიის ჩემპიონატში შესვენების დროს რომ ჰქონდა, ტრაპატონიმ სამხრეთ აფრიკაში გაატარა.

*ბინა მიუნხენში:* ტრაპი სახელგანთქმული დალმაიერის სახლის ბოლო სართულზე ცხოვრობს, მისი ფანჯრები ოპერასა და მერიას გადაჰყურებს. ფართი 160 კვადრატული მეტრია. ბინის ძირითადი ატრიბუტი დიდი ტელევიზორია, „ტელე-პიუ-დუეს“ დეკოდერით. კვირაობით ტრაპატონი ამ იტალიურ ტელეკომპანიას სერია A-ს რომელიმე მატჩს უკვეთავს.

*ბინა კუზანო მილანინოში:* ამ საუკუნის დასაწყისში აშენებული ვილაა, 400 კვადრატული მეტრი ფართით. მოპარკეტებულ სახლში ძველი, მძიმე ავეჯი დგას, იატაკზე ქაშმირის ხალიჩები აფენია.

*სამოსი:* ტრაპატონის „ვალენტინოს“ მოდელები მოსწონს, სიამოვნებით იმოსება „კერუტისა“ და „მიზონის“ ტანსაცმლითაც. იგი რომ ყოველთვის ელეგანტურად გამოიყურება, მისი მეუღლის დამსახურებაა. ტანსაცმლის ზომა — 48.

*საყვარელი რესტორანი:* მიუნხენის „პიკოლა ამბაჩიტა“.

*საყვარელი საჭმელი:* იგი ხშირად უკვეთავს რუკოლას სალათს ბატის შემწვარ ხორცთან ერთად. სპაგეტის ტომატთან და სუნელებთან ერთად შეექცევა. ამას ნამცხვარი მოჰყვება. „ტკბილეული ჩემი სისუსტეა“ — ამბობს ტრაპი.

*საყვარელი სასმელი:* რესტორანში ჯოვანი პიემონტში მოყვანილ „არნაისს“ სვამს, თანაც, ეს თეთრი ღვინო აუცილებლად „კერეტოს“ მიერ უნდა იყოს ჩამოსხმული. სამუშაოს მერე, საღამოობით ტოსკანიურ შავ ღვინოს, „ტინანელოს“ მიირთმევს.

*ტრაპი სამზარეულოში:* „მე მხოლოდ ყავის მოდუღება შემიძლია“.

*მუსიკა:* ტრაპატონის ასზე მეტი კომპაქტდისკი აქვს, უფრო კლასიკურ მუსიკას ამჯობინებს. მისი უსაყვარლესი ნაწარმოები ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიაა.

*საყვარელი ცეკვა:* ვალსი.

*ჩვევა:* პატარა წიგნაკი, რომელიც მაჯაზე აქვს მიმაგრებული და სადაც მოთამაშეთა შეცდომებს ინიშნავს. წყლის ბოთლი, რომლიდანაც სათადარიგოთა სკამის წინ წყალს ასხამს ხოლმე, სიარულისას მარცხენა ხელი ყოველთვის ჯიბეში უდევს.

*სისუსტე:* ვერ ისწავლა კავშირებითის (კონიუნქტივის) ფორმის ხმარება გერმანულში. „მე იტალიურშიც ვერ ვხმარობ კავშირებითს და ამ 60 წლის კაცმა ბავშვივით რატომ უნდა ვიმტვრიო თავი ამ გრამატიკული ფორმის ათვისებაზე“ — ხუმრობს ტრაპატონი.

თარგმნა
ერეკლე ქიქილაშვილმა

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია “CROCO”

### ინტერტოტო. I ტური
21-22 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| დინამო 93 (ბელარუსი) — ჰეერენვენი (ჰოლანდია) | 3,4 | 3,1 | 1,7 |
| ოლბორგი (დანია) — ბოლონია (პოლონეთი) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| დრაგოვოლიაცი (ხორვატია) — ბასტია (საფრანგეთი) | 4,4 | 3,2 | 1,5 |
| გრაცერი (ავსტრია) — სილკებორგი (დანია) | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| არდსი (ჩრდ. ირლანდია) — ანტვერპენი (ბელგია) | 7,5 | 4,2 | 1,2 |
| ლოზანა (შვეიცარია) — სალამინა (კვიპროსი) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| მაკაბი (ფეტახთიკვა, ისრაელი) — კოლნი (გერმანია) | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| სტანდარდი (ბელგია) — აარაუ (შვეიცარია) | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ბოლტფელაგიდი (ფარერები) — გენკი (ბელგია) | 9,0 | 5,5 | 1,1 |
| პანახაიკი (საბერძნეთი) — სტაბეკი (ნორვეგია) | 1,4 | 3,3 | 5,0 |
| ლეიფტური (ისლანდია) — ჰამბურგი (გერმანია) | 9,0 | 5,5 | 1,1 |
| სამსუნსპორი (თურქეთი) — ოდენსე (დანია) | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| უნივერსიტატე (ლატვია) — ისტანბულსპორი (თურქეთი) | 6,0 | 3,6 | 1,3 |
| ესტერი (შვედეთი) — ვაშაში (უნგრეთი) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| კონგსკინგერი (ნორვეგია) — ლომელი (ბელგია) | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| ჰაიდუკი (როდიჩი, იუგოსლავია) — ჰალმშტადი (შვედეთი) | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ჟილინა (სლოვაკეთი) — აუსტრია (ავსტრია) | 2,1 | 2,7 | 2,8 |
| ოდრა (პოლონეთი) — რაპიდი (რუმინეთი) | 2,3 | 2,6 | 2,5 |
| გლორია (რუმინეთი) — მონპელიე (საფრანგეთი) | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| გრონინგენი (ჰოლანდია) — ჩუკარიჩკი (იუგოსლავია) | 1,2 | 4,2 | 7,5 |
| პუბლიკუმი (სლოვენია) — ანთალიასპორი (თურქეთი) | 2,9 | 2,8 | 2,0 |
| პროლეტერი (იუგოსლავია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| რიდი (ავსტრია) — ირაკლისი (საბერძნეთი) | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| მერანი (საქართველო) — ტორპედო (რუსეთი) | ანგარიში - 4,5 | | |

### ესპანეთი. 42-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტა — რეალი | 1,6 | 3,3 | 3,6 |
| დეპორტივო — ესტრემადურა | 1,6 | 5,0 | 2,5 |
| ერკულესი — ბილბაო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ბეტისი — ვალიადოლიდი | 1,25 | 3,8 | 7,0 |
| რაიო ვალეკანო — ბარსელონა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ოვიედო — სპორტინგი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ესპანიოლი — ვალენსია | 1,9 | 2,3 | 3,6 |
| რასინგი — სევილია | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| სოსიედადი — ლოგრონიესი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| სარაგოსა — კომპოსტელა | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ატლეტიკო — ტენერიფე | 1,4 | 3,2 | 5,5 |

### სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი
20 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| მექსიკა — კოსტა რიკა | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ბრაზილია — კოლუმბია | 1,4 | 3,3 | 5,0 |

იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე კოეფიციენტები იხილეთ „სარბიელის“ შაბათის ნომერში.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იმერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე




შ.პ.ს. "ორქიდეა"
ჰოლანდიური ყვავილების მაღაზია
"ORCHID" Ltd.
Shop of Holland Flowers

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

ჰოლანდიური ყვავილების ფირმა "ორქიდეა"
გიწვევთ ჩვენს საყვავილეში

აქ თქვენ შეიძენთ ეგზოტიკურ ხეებს: პალმა, ჯუჯა ხეები (ბონსაი), ყვავილოვან მცენარეებს, ცოცხალ და ხელოვნურ ყვავილებს. ასევე გასაფორმებელ მასალას ოფისებისთვის, რესტორნების, კაფეებისა და სხვა ინტერიერისათვის. ჩვენთან ასევე შეგიძლიათ შეუკვეთოთ ცოცხალი და ხელოვნური ყვავილებისაგან დამზადებული კალათები, ეკიბანები, თაიგულები, საქორწილო თაიგულები. გაგიფორმებთ ღირსშესანიშნავ საღამოებს.

დიდი სიამოვნებით მიგიღებთ
ყოველდღე 9⁰⁰-დან 21⁰⁰-მდე
ჩვენი მისამართია:
ლეხელიძის ქ.18, ტელეფონი: 98 85 77 ფაქსი: 98 85 76

# ჯამბაზობას ჩემპიონობა სჯობს



ილია გიორგაძე ერთი წესიერი, თავმდაბალი და უპრეტენზიო ქუთაისელი ბიჭია. ერთი შეხედვით, სხვებისგან არაფრით გამოირჩევა, მაგრამ ქართველ სპორტსმენთაგან მისი გამორჩეულობის მიზეზი მაინც არსებობს — ილიას სხვათა მსგავსად უცხოეთზე არ უჭირავს თვალი, არც მაღალგანვითარებული ქვეყნების სატანვარჯიშო კლუბების მენეჯერებსა და აგენტებს აწუხებს, არიქა, მიშველეთ, ამ დაქცეული ქვეყნიდან წამიყვანეთ და ბლომად ფული მიხადეთო. 7 წელია ილია თბილისშია, ტანვარჯიშის სკოლაში ერთ მომცრო ოთახში ცხოვრობს, როცა ტანმოვარჯიშეებს შეკრება აქვთ თბილისში, ხან ვის შეუსახლებენ ოთახში და ხან ვის — ამასაც უპრეტენზიოდ იტანს. ახლახან ოლიმპიურმა კომიტეტმა 250 ლარი სტიპენდია დაუნიშნა ილია გიორგაძეს, როგორც ნიჭიერ და პერსპექტიულ სპორტსმენს. სხვებისგან განსხვავებით ხმა არ ამოუღია და ამაზეც დიდი მადლობა განაცხადა: მე ესეც არ მითხოვია, რაც მომცეს. ამაზეც მადლიერი ვარო — თქვა და თავის საყვარელ საქმეს მიუბრუნდა — თავგამეტებით ვარჯიშობს, რათა წლევანდელ საერთაშორისო შეჯიბრებებში თავი არ შეირცხვინოს.

**— ილია, მოდი ცოტა შორიდან დავიწყოთ. ატლანტაში 25-ე ადგილი დაიკავე. ღირდა ოლიმპიადაზე ამ შედეგისათვის კაცის გაგზავნა?**

— თუ იმ პრინციპს გავიხსენებთ, რომ ოლიმპიადაზე მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვება, მაშინ ღირდა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ოლიმპიადამდე სხვა შედეგი მქონდა დაგეგმილი. არც ათეულში მოხვედრა იყო გამორიცხული, მაგრამ სპორტი სპორტია და წინასწარ ყველაფერს ვერ გათვლი. პირველი ორი ვარჯიშის შემდეგ ათეულშიც ვიყავი, მაგრამ რგოლებზე ვარჯიშმა დამღუპა — ისე უხეიროდ შევასრულე და იმდენად დაბალი შეფასება მომცეს, რომ მერე დანარჩენი სამი იარაღითაც ველარ „ამოვქაჩე".

**— კი ბატონო, ოლიმპიადაზე წარუმატებლობა ქართველ სპორტსმენებს გვპატიათ — აქაოდა, ქვეყანას უჭირს და ორი ბრინჯაოს მედალიც საქმე იყო საქართველოსთვისო. ახლა რას აპირებ?**

— ოლიმპიადის შემდეგ ჯერ თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე ვასპარეზე, მერე კი რუმინეთში. თურქეთში მრავალჭიდში ჩემპიონი გავხდი და ვაჯობე 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის III პრიზიორ ევგენი შაბაევს და ახალგაზრდებში ორგზის ევროპის ჩემპიონ ევგენი ჟუკოვს. რუმინეთში მრავალჭიდი არ იყო, ცალკეულ იარაღებზე ვასპარეზე — თავისუფალი და ტაიჭზე ვარჯიში მოვიგე, ღერძზე მეექვსე ვიყავი. ამორჩევით იყო — მე ეს სამი იარაღი ვარჩიე.

**— გინდა თქვა, რომ ოლიმპიადის შემდეგ „გონს მოხვედი" და წარმატებებსაც მიაღწიე?**

— მე ის ვთქვი, რაც იყო და მოხდა. ეჭვი არ მეპარება, რომ მალე მსოფლიოს მოწინავე ტანმოვარჯიშეებს ღირსეულ მეტოქობას გავუწევ.

**— კერძოდ, ვის?**

— ბელარუსებს ვიტალი შერბოს და ივან ივანკოვს, რუს ალექსეი ნემოვს, ჩინელ ლი სან შას. სწორედ სან შამ მოიგო ოლიმპიადა.

**— მარტო მონდომებით აჯობებ ამხელა სპორტსმენებს?**

— მთავარი მაინც მონდომებაა, რა თქმა უნდა, ხელშეწყობაც მჭირდება; იმის ნახევარი პირობები მაინც მინდა, რაც უცხოელ ჩემპიონებს აქვთ.

**— ახლა რა პირობებშიც ვარჯიშობ, იმით რისი მიღწევა შეგიძლია?**

— მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ტურნირების მოგება. დიდ შეჯიბრებებზე აქაური მომზადებით წარმატებაზე ფიქრიც კი უაზრობაა. იარაღები მოძველებულია, დარბაზში ლეიბებიც კი არ არის საკმარისი. უცხოელები ახლა სულ სხვა ტიპის, გაუმჯობესებული იარაღებით ვარჯიშობენ.

**— ძვირია ეგ იარაღები?**

— კი, ძვირია. ამჟამად ჩვენს ფედერაციას მათი შეძენა ნამდვილად არ შეუძლია.

**— აბა, რას აპირებ?**

— სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელები შემპირდნენ, ორიოდე თვით მოსკოვში შეკრებაზე გაგიშვებთო. ორი წლის წინ ქუთაისის მერიამ მომიხერხა მოსკოვში შეკრება, ნორმალურ პირობებში რომ მოვემზადე, სულ სხვა ვიყავი. მარტო ახლებური იარაღები არ არის პრობლემა. როცა რუსეთის ნაკრების ლიდერებთან ერთად ვვარჯიშობდი, მათგან ბევრ რამეს ვსწავლობდი, აშკარად ვხვეწდი ოსტატობას, აქ კი მე და გიორგი თვაური შევეცქერით ერთმანეთს. ტანმოვარჯიშესაც სჭირდება სპარინგ-პარტნიორის მსგავსი.

**— მოსკოვურ შეკრებას, ალბათ, ტყუილად არ გპირდებიან. კონკრეტული მიზანიც ეჭნება ამ შეკრებას...**

— რა თქმა უნდა. სანაცვლოდ ჩემგან მედალს ელიან მსოფლიო უნივერსიადიდან, სექტემბერში რომ გაიმართება იტალიაში, უნივერსიადის შემდეგ კი შვეიცარიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვასპარეზებ. ამიტომ რაც მალე წავალ მოსკოვში, მით უკეთესი — ფორმას მალე აღვიდგენ და სრულფასოვნად მოვემზადები.

**— წელან დაიჭადნე, მალე მსოფლიოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეებს შევეტოქებიო. ასე კანტი-კუნტი მოსკოვური შეკრებებით გინდა დაამარცხო გაფუფუნებული უცხოელები?**

— კიდევ გავიმეორებ, რომ მთავარია მონდომება და გამარჯვების რწმენა. მონდომებისა და რწმენის ხარჯზე ბევრჯერ გამიმარჯვნია, მე ვიცი ჩემი ხასიათი და ამიტომაც ვარ ასე თავდაჯერებული. თანაც, სულ ასე ხომ არ იქნება, ცხოვრება თანდათან გამოსწორდება, მალე ალბათ, სპორტისთვისაც მოიცლიან და ჩვენც გაგვიუმჯობესებენ პირობებს.

**— ილია, ჩვენებურ სპორტსმენთა უმრავლესობას უცხოეთისკენ მიუწევს გული. ზოგი იქაური სპორტკლუბების სახელით ასპარეზობს, ზოგი უცხოეთის მოქალაქეობასაც არ თაკილობს. შენი დონის სპორტსმენს უცხოური კლუბის მოძებნა და იქ კონტრაქტის გაფორმება არ გაუჭირდება. არ გიფიქრია აქედან წასვლაზე?**

— სიმართლე რომ გითხრა, ჯერჯერობით არავის შემოუთავაზებია არც უცხოური კლუბის წევრობა და, მითუმეტეს, არც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა რომ მოვინდომო, ალბათ, მართლა არ გამიჭირდება სასურველი კლუბის პოვნა, მაგრამ ამაზე არასდროს მიფიქრია, არც სხვაგან წასვლას ვაპირებ.

**— რაც გაქვს, მას სჯერდები?**

— ჯერჯერობით, რაც მაქვს, მყოფნის, მაგრამ ჩემი ოსტატობითა და გამარჯვებებით მე თავადვე შევცვლი ჩემს ცხოვრებას, უცხოელები არ მჭირდება.

**— შვიდი წელია, ტანვარჯიშის სკოლაში ცხოვრობ, ბინას ხომ არ გპირდებიან სპორტის თავკაცები?**

— არც არავისთვის მითხოვია ბინა, არც ვთხოვ და არც ვინმეს შემოუთავაზებია.

**— იქნებ, ჯობდა, ქუთაისში გევარჯიშა, იქ მომზადებულიყავი, ბოლოსბოლოს, მშობლებთან, საკუთარ ოჯახში მაინც იცხოვრებდი...**

— იცოცხლე კარგი იქნებოდა, მაგრამ თბილისში რომ მენატრება ნორმალურ იარაღზე ვარჯიში, წარმოიდგინე ქუთაისში რა მდგომარეობა იქნება. [illegible] რომ ხელი [illegible] 23 წელი შეიძლება ივარჯიშოს დამწყებმა ტანმოვარჯიშემ, [illegible] თბილისში [illegible].

**— უცხოეთის საცირკო დასებში ბევრი ჩვენებური ტანმოვარჯიშე გამოდის. სპორტულ კარიერას რომ დაასრულებ, ფულის საშოვნელად შენც ხომ არ აპირებ კოლეგების მიბაძვას?**

— არა, ეგ გამორიცხულია. ბევრ ფულს რა სჯობია, მაგრამ მე ვიცნობ ცირკის მსახიობთა ცხოვრებას, ძალიან არ მომწონს და ცირკში არასდროს წავალ.

**— საქართველოს ტანვარჯიშის სამყარო შენ და გიორგი თვაურს შემოგცქერით იმედით, რადგან უკეთესი ტანმოვარჯიშე ვაჟები არ გვყავს. გიორგიზე რას იტყვი, მისი მოიმედენი ხომ არ ცდებიან?**

— გიორგი ნიჭიერი სპორტსმენია, შრომისმოყვარე, ლამაზი სტილი აქვს. მისგან არანაირი წარმატება არ გამიკვირდება. მსოფლიოს ჩემპიონატზე მე და გიორგი ერთად წავალთ და შვეიცარიაში ექნება თავისი სიძლიერის დამტკიცების შანსი.

**— უნივერსიადაზე არ იასპარეზებს გიორგი თვაური?**

— არა, უნივერსიადაზე მარტო სტუდენტი სპორტსმენები გამოვლენ.

**— შენ სად სწავლობ?**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე. ოღონდ ისე არ ვსწავლობ, როგორც ჩვენებურ სპორტსმენთა უმრავლესობა, ლექტორებს რომ ვერ სცნობენ. ახლაც გამოცდებს ვაბარებ, მთელი დატვირთვით ვერ ვვარჯიშობ და ფორმაც დავკარგე.

დაკარგულ ფორმას ილია გიორგაძე მოსკოვში უთუოდ აღიდგენს, ამ ბიჭს დიდი გეგმები აქვს, მწვრთნელებიც იმედით შესცქერიან და გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება თუ ვიტყვი: ილია გიორგაძეზე ფულის დახარჯვა ალალია, რადგან ეს ბიჭი სანაცვლოდ მედლებს გვპირდება. სიტყვის გატეხვა კი ილიას არ სჩვევიაო — მითხრეს წამოსვლისას მისმა მეგობრებმა.

**ლევან ჯავახიშვილი**



## გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნის

როგორც იქნა, ქართველი აკრობატებისთვისაც გამოდარა: სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოწყალე თვალით გადმოხედა მათ და 6 ათასი ლარი გამოუყო ტანვარჯიშის ფედერაციას ორი აკრობატის — ალეკო ფხიკაძისა და ვეფხია ხუბაევის ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად. მაგრამ, ჯერჯერობით, ეს თანხა ქაღალდზე არსებობს, ორი კვირაა, ფედერაციის თანამშრომლები დარბიან და ფული ვერ გამოუტანიათ ხაზინიდან. არადა, ბიჭები საუცხოო ფორმაში არიან და იმედოვნებენ, რომ გერმანიიდან ერთ მედალს მაინც ჩამოიტანენ.

ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა სპორტდეპარტამენტის ნაბოძები ფულის ხელში მოსაგდებად სხვადასხვა ფედერაციის თავკაცები ლამის საქართველოს პრეზიდენტსაც აწუხებენ. არადა, უფულოდ ვერც აკრობატები წავლენ გერმანიაში. „ვერ წავლენ და ბიჭები გულს აიყრიან სპორტზე, ისინიც, როგორც მათი უფროსი მეგობრები, უცხოეთში წავლენ ალბათ და საცირკო შოუში მიიღებენ მონაწილეობას. საცირკო დასის პოვნა არ გაუჭირდებათ" — მითხრეს ფედერაციაში. ვერ გამტყუნებ ამ ხალხს. ბიჭებს ხელფასს არ აძლევენ, ნახევრადმშიერები ვარჯიშობენ, საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობაც ენატრებათ, ყველაფერს კი იმისთვის იტანდნენ, რომ ევროპის ჩემპიონატზე წასულიყვნენ, მაგრამ ახლა ესეც საეჭვოა. ერთ კვირაში კი ჩემპიონატი იწყება. უცხოური ცირკის მოძებნა კი ფხიკაძესა და ხუბაევს არ გაუჭირდებათ, მათი მეგობრები, ყოფილი აკრობატები და ბატუტისტები, რომ იტყვიან, ქვეყანას არიან მოდებულნი და უცხოეთის ქვეყნების საცირკო დასებში ჩვენებურები საკმაოდ მაღალხელფასიან მსახიობებად ითვლებიან, დიდი ფული კი საკმარისია ახალგაზრდა აკრობატთა საცდუნებლად, რათა არანორმალური პირობები და სპორტი მიატოვონ და პროფესიის შეცვლის ხარჯზე ნორმალურად იცხოვრონ.

საინტერესოა, რომ ორი ბათუმელი აკრობატი მგელი მიქელაძე და როუზან ბენიანიც გამგზავრებიან გერმანიაში, ოღონდ, თბილისელთაგან განსხვავებით, აჭარის სპორტკომიტეტმა გოგონებს გამგზავრებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა მოუგვარა და აჭარის აკრობატიკის თავკაცები, მათი თბილისელი კოლეგებივით, ყელგამოწეულნი არ ელოდებიან ჩინოვნიკებს, კეთილი ფული მოგვეცით.

**ლევან ჯავახიშვილი**



ლეილა მესხის აკადემიისა და „დინამოს" კორტებზე დასრულდა საქართველოს პირველობა სხვადასხვა ასაკის ჩოგბურთელთა შორის. ამ ტურნირის გამარჯვებულებმა საქართველოს ჩემპიონობის გარდა ევროპის პირველობის საგზურებითაც დაიმშვენეს ხელი. სამი ადგილი საქართველოს ნაკრებში გივი სამხარაძეს, ირაკლი ლაბაძეს და მაკა ჩახნაშვილს ჰქონდათ დაჯავშნული და ისინი ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ.

1979-80 წლებში დაბადებულთა ფინალური ოთხეულის ტურნირში გაიმარჯვა ნუკრი ცერცვაძემ. მეორე ადგილი გივი მიქელაძეს ერგო.

## ევროპა საქართველოდან იწყება

1981-82 წლებში დაბადებულმა ირაკლი უშანგიშვილმა ფინალში დაამარცხა ლადო ჩიხლაძე — 7:5, 6:3.

ამავე ასაკის გოგონათა შორის იმარჯვა ნატო კაჭკაჭიშვილმა, რომელმაც დაძაბულ ორთაბრძოლაში სძლია ეკა ქვანია — 6:4, 1:6, 6:3.

1983-84 წლიან გოგონათა ფინალურმა ოთხეულმა ევროპის ჩემპიონატის ორი საგზური წრიული სისტემით გაითამაშა. გაიმარჯვა ნინო ესებუამ. ანა ჩაჩუა მეორე იყო.

მათ ტოლ ყმაწვილთა ფინალური ოთხეულის ტურნირი ჯერ არ დასრულებულა. ერთ-ერთი მონაწილის ავადმყოფობის გამო ფედერაციამ შეჯიბრი გადადო.

ჯერჯერობით ევროპის ჩემპიონატში მონაწილე ჩოგბურთელთა ვინაობა ოთხ კატეგორიაში გაირკვა.

ვაჟები. 1979-80: გივი სამხარაძე და ნუკრი ცერცვაძე; 1981-82: ირაკლი უშანგიშვილი და ირაკლი ლაბაძე; გოგონები. 1981-82: მაკა ჩახნაშვილი და ნატო კაჭკაჭიშვილი; 1983-84: ნინო ესებუა და ანა ჩაჩუა.

ევროპის პირველობები სხვადასხვა ასაკში ივლისის ბოლოს გაიმართება.

**კოტე მგალობლიშვილი**



# მაკას იმედი აქვს, ფული — არა

სპორტსმენთა უმრავლესობა შემთხვევის წყალობით ხვდება სპორტში. მაკა ობოლაშვილი ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ შუბის მტყორცნელი თუ გახდებოდა, ამას ნამდვილად არა. გარდაბანში, სოფელ ლილოს სკოლაში სწავლობდა. ერთხელაც ფიზკულტურის გაკვეთილზე სასწავლო ხელყუმბარა ისროლა და ძალიან შორს გადააგდო. ფიზკულტურის მასწავლებელმა მოჰკიდა ხელი და მეორე დღესვე თბილისში გამოაქანა...

**— მაკა, შენი მეგობრები ხუმრობენ ხოლმე, ობოლაშვილმა შუბისმტყორცნელობა დააპირა, მაგრამ ლამის სპრინტერი გახდაო. რატომ?**

— თბილისში რომ ჩამომიყვანა ჩემმა ფიზკულტურის მასწავლებელმა, შუბისტყორცნის სპეციალისტი ვერ მოვნახეთ და დროებით ყოფილ ლენინის დარბაზში ვასო მჭედლიძესთან მიმიყვანა. მძლეოსნობა მძლეოსნობაა-მეთქი ვიფიქრე და დროის უქმად კარგვას სირბილში ვარჯიში ვამჯობინე.

**— შუბის ტყორცნის სპეციალისტი როგორღა მოძებნე?**

— გლდანის სპორტსკოლაში მივედი, რეზო კობიაშვილმა გამსინჯა და დარჩიო, მითხრა.

**— მძლეოსნობის სპეციალისტებმა მითხრეს, მაკა 15-16 წლისა რომ იყო, მაშინ უფრო შორს ტყორცნიდა შუბს, ვიდრე ახლაო. მართალია?**

— ნაწილობრივ სიმართლე უთქვამთ. თავიდან, რომ იტყვიან, მალე გავიხსენი, კარგი შედეგები მქონდა და მაშინდელ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც დამიძახეს. ეტყობა, კარგ პირობებში რომ ვვარჯიშობდი, იმიტომაც მქონდა შესაფერისი შედეგი. ახლა ხელახლა ვიწყებ ყველაფერს, რომ იტყვიან, ნულიდან. თუმცა, მაშინდელი შედეგების მიღწევა არც ახლა მიჭირს, მაგრამ ყოველდღიურად ველარ ვიზრდები, როგორც სპორტსმენი, კუს ნაბიჯებით მივიწევ წინ.

**— ერთხანს სპორტს თავიც დაანებე, მერე დაბრუნდი. არა ჯობდა, გევარჯიშა და ფორმა შეგენარჩუნებინა? ახლა ხომ იმ დანაკლისის ანაზღაურება აღარ დაგჭირდებოდა?**

— 3 წელი არ ვვარჯიშობდი, ეგ კი არა, საერთოდ აღარ ვაპირებდი სპორტში დაბრუნებას, მაგრამ რეზო კობიაშვილი აღარ მომეშვა, რამდენჯერმე ჩამომაკითხა გარდაბანში და დამიყოლია. მაშინ ძნელი იყო ვარჯიში, სპორტსმენობა, საერთოდ, რამე საქმის ხეირიანად კეთება. ახლა ვითომ უკეთესობისკენ მიდის საქმე ვნახოთ, იქნებ ჩვენც — სპორტსმენებსაც გვეშველოს.

**— მაინც რას უჩივი?**

— იცი, 3 წელია, შეკრებაზე არ ვყოფილვარ და მარტოდმარტო ვვარჯიშობ. ვიდეოკასეტა რაა, ისიც კი არა მაქვს, რომ მსოფლიოს საუკეთესო მტყორცნელების ასპარეზობა ვნახო. საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა ხომ ოცნებად მექცა. აღარაფერს ვამბობ ანაზღაურებაზე.

**— მაინც რამდენს გაძლევენ?**

— 80 ლარს სპორტის დეპარტამენტი, 50 ლარს კი გარდაბნის სპორტკომიტეტი.

**— ეს, რა თქმა უნდა, არ გყოფნის.**

— მარტო მე რომ ვიყო ამ დღეში, ჯანდაბას. დღეს რომელიმე ქართველ სპორტსმენს განა ულხინს? ვარჯიშის წინ რიბოქსინს ვსვამ, რომ გული არ გადამელალოს. ეს იმიტომ, რომ კალორიულ საჭმელზე ყოველთვის არ მიმიწვდება ხელი. ეს რომ უცხოელებმა გაიგონ, სიცილით დაიხოცებიან.

**— ყველა სპორტსმენი დაფინანსებას და ხეირიან ხელფასს მოითხოვს. შეკრებები და ტურნირებზე გამგზავრება ხომ ისედაც იგულისხმება. ზოგს კი ავიწყდება, რომ მასზე დახარჯული ფულისა და გაწეული გარჯის სანაცვლოდ მედალი უნდა ჩამოიტანოს საქართველოში. იქნებ არ ღირს მაკა ობოლაშვილზე ფულის ხარჯვა? შენ ხომ 1995 წელს შვეციაში სასაცილო შედეგი აჩვენე, წელს საქართველოს ჩემპიონატზე 42 მეტრს ვერ გადააცილე შუბი.**

— შეგახსენებ, რომ 3 წელია, შეკრებაზე არ ვყოფილვარ და ამ სამწლიან მონაკვეთში შვეციის ტურნირიც შედის. მომზადების ნორმალური პირობები არა მაქვს. ისე, 42 მეტრი ნამეტანი მომივიდა, მაგრამ ის რატომ აეიწყდებათ, რომ ვარჯიშზე 58-59 მეტრზე ვტყორცნი შუბს, ხოლო 66-67 მეტრზე ტყორცნით მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაც შეიძლება.

**— ამტკიცებ, რომ პოტენციური მსოფლიოს ჩემპიონი ხარ?**

— პოტენციით ოლიმპიადის მოგებაც კი შემიძლია, ოღონდ ისეთი მომზადება და ვარჯიში მჭირდება, უცხოელებს რომ აქვთ.

სიდნეის ოლიმპიადამდე ჯერ შორია და, კაცმა არ იცის, მაკა ობოლაშვილი თუნდაც ოლიმპიადის ლიცენზიას მოიპოვებს თუ არა. თავად მეტად თავდაჯერებულია და იმედოვნებს, რომ მალე დიდ სპორტსმენად იქცევა და მსოფლიოს საუკეთესო შუბისმტყორცნელებსაც შეეტოქება, რა თქმა უნდა, თუ ხელშეწყობა ექნება. დახმარებით კი, ვისაც ეს ხელეწიფება, თუნდაც იმიტომ უნდა დაეხმარონ მაკას, რომ მისებრ გაუტეხელი სპორტსმენი იშვიათია. რწმენა კი გამარჯვების საწინდარია.

**ლევან ჯავახიშვილი**


**გთავაზობთ დასვენებას**

ციხისძირის დასასვენებელ სახლში (ქობულეთთან ახლოს),

*კარგ პირობებში:*

სამჯერადი კვება,

ცხელი შხაპი კვირაში ორჯერ,

სპორტული კომპლექსი

ერთი დღის დასვენების საფასური — 10 ლარი

ცნობებისთვის დარეკეთ 98-46-54

## ლომები აფრიკაში

VIII თამაში. 17.06. ველინგთონი. მომავალი ქურციკები 22 (15) (3ლ: ბროსნიჰანი, ჰუუსენი, ტრო; 2გ: სმითი, მონთგომერი; ს: სმითი) — ბრიტანელი ლომები 51 (16) (6ლ: რაუნთრი, ბიილი 3, სთიმფსონი, ქეთი; 6გ და 3ს: სთიმფსონი)

გაილია მოსათელი და შესათამაშებელი პერიოდი. „ლომები". ზეგ ქეიფთაუნში სამ-ტესტა სერიის პირველ თამაშში შეებმიან მსოფლიოს ჩემპიონს — სამხრეთი აფრიკის ეროვნულ გუნდ „ქურციკებს".

# «ქურციკების» კი არ დაიღლებიან!

ველინგთონი ქეიფთაუნის მეზობლად გაშენებული მცირე ქალაქია და სარაგბო პროვინციის — ბოლანდის ცენტრია. იქაურია მასპინძელთა მეორე ნაკრების მოძღვარი ნიკ მოლითი, ვინაც შარშან პირველი გუნდის მორკინალთა მწვრთნელად მუშაობდა, მაგრამ „ქურციკთა" ახალმა გურუმ — კარელ დიუპლესიმ დაითხოვა.

ჭეელი აფრიკელები „ლომებს" მაგრად დაუდგნენ. სტუმრების ლელოს ერთი პირობა ხუთი წუთის მანძილზეც კი უტრიალეს, მაგრამ მატჩის ბოლოს გატყდნენ და ზედიზედ 21 ქულაც მიიღეს. ბრიტთა გარეური ბურთაობის მექა იყო. ბრიტანული რაგბი იქაურებს ისე ძაგდათ, რომ მის მოთამაშეებს ერის მოღალატეებად მიიჩნევდნენ და სამუშაოდანაც კი ითხოვდნენ ხოლმე.

მარბმა ნიკ ბიილმა ლელოთა ჰეთ-თრიქიც კი მიითვალა, მცველი თიმ სთიმფსონი კი არ ჩამორჩა ტესტ-გუნდელ კოლეგა ნილ ჯენქინსს და წინა თამაშში მის მიერ მოგროვილ 24 ქულას 26-ით უპასუხა — 12 ცდით 9 გოლი და კიდევ ერთი ლელო გაიტანა.

საწყის 11 წუთში „ლომები" 13:0 დაწინაურდნენ. სტუმართაგან თავი ისევ ისახელა ჩია ფლანკერმა ნილ ბექმა. აფრიკელები მასპინძლებს ორჯერ წამოეწივნენ — 15:16 და 22:30, მაგრამ ბოლოს დაიღალნენ. ამის გამო მოლითმა თქვა, „ლომებს" ტესტი ბევრად უკეთ მომზადებულ მეტოქესთან ექნებათო.



ზეგ, სიდნეიშიც პირველი ტესტია, ოღონდაც ავსტრალიის „ვოლაბებისა" და საფრანგეთის „მამლების" ორ-ტესტა სერიისა.

ფრანგთა იდეური მამა უკანა ხაზის მწვრთნელი პიერ ვილპრეა. მასა და არაბ კაპიტან აბდელ ბენაზის უთქვამთ, რაგბის ფრანგული გააზრება ბურთის ხელში აღებასა და მის წინ გაქცუნებაშიაო. თუკი ბურთის გათამაშების შანსი შენსავე ლელოსთან მოგეცემა, უეჭველად უნდა გამოიყენოო. ბენაზიმ დიდად აქო სამხრეთი ნახევარსფეროს რეგიონული ჩემპიონატის — ზე-12-ის დონე და ისიც აღიარა, ავსტრალიის ტურნემ სულზე მოგვისწროო. აი, პირადად მე ერთობ მომბეზრდა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ერთი და იმავე მეტოქეებთან წლიდან წლამდე თამაშიო.

ფრანგებმა თავიანთი კრედოს ერთგულება მელბურნის ოლიმპიურ სტადიონზე გამოამჟღავნეს. მეორე ლელოს გატანაში ერთბაშად 10 კაცი მონაწილეობდა, ბურთმა კი წინ 100 (!) მეტრი წაიწია. ვიქტორიის გუნდი ერთხანს იგებდა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ეს შტატი ოდითგანვე ავსტრალიური ბურთაობის მექა იყო.

## ქემფიზი «მამლებს» ვერ დაუხვდა

ახლა საქმე სხვაგვარადაა. ავსტრალიელები რაწამს ზე-12-ში მეოთხე გუნდის გაყვანას ელირსებიან, იგი უთუოდ ვიქტორიისა იქნება. მას სარაგბო შტატების კადრებით შეავსებენ. წელსვე ბლედისლოუს თასის ერთ-ერთი შერკინება მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზეა" დანიშნული: ავსტრალია — ახალი ზელანდიის მატჩზე დასასწრები 100 ათასივე (!!!) ბილეთი ამ ერთი თვის წინ გაიყიდა!

„მამლებს" შემდეგი ორი მატჩი ბევრად უფრო სერიოზულ მეტოქეებთან უწევდათ, მაგრამ „ვოლაბთა" უხეირო მწვრთნელმა გრეგ სმითმა მოითხოვა, ნაკრები ტესტებისთვის ათი დღე უნდა ვამზადოო, ამიტომ ზე-12-ის მონაწილე სამივე გუნდის რჩეული მოთამაშეები შეკრების განმავლობაში ვერსად ითამაშებენო. ამის გამო კანბერამ 9, ქვინზლენდმა კი 7 „ვოლაბი" მოისაკლისა.

ავსტრალიელები მაინც მაგრად დაუხვდნენ გალებს. დედაქალაქში წვიმდა. თამაშს მხოლოდ 4 ათასი კაცი დაესწრო. „რაშებს" სმითის მიერ დაწუნებული 33 წლის ბრძენი 10 ნომერი დევიდ ნოქსი უძღვებოდათ და თავიდან 12:0 იგებდნენ. სტუმრებს სატესტო გუნდი გაეყვანათ, მაგრამ იერიშში ბურთს მაინც ხშირად კარგავდნენ. არეულმა მასპინძლებმა იმიტომ ვერ მოიგეს, რომ ძალისმიერი ლელოს გატანა დაიჟინეს. ერთხელაც ბურთი საკუთარ ლელოსთან შერკინებიდან გამოუგორდათ და ბენაზიმ დაუმიწათ.

ქვინზლენდმა 7 ივნისს 2-0 რომ მოუგო „ოდინდელთა სერიალი" ახალ სამხრეთ უელსს, მერე მასთან „ზრდილობის მატჩიც" წააგო და ფრანგებსაც ვერაფერი მოუხერხა. გალთაგან თავი გაიგიჟა მეორეხაზელმა ოლივიე ბრუზემ.

ავსტრალიელებს ორივე თამაშში დაეტყოთ სმითის ახირება. სერიალის თამაში, დიდი რაგბიდან დევიდ ქემფიზის მეშვიდე (!!) გაცილება რომ უნდა ყოფილიყო, ულიმღამო გამოვიდა. თავი ისევ „კამპომ" გამოიდო და ერთი ლელო მაღაყით თავად გაიტანა, ორში კი ლომის წილი დაიდო. დიდი მობურთალი და შემაქცევარი აგვისტოდან იტალიაში, პადუის კლუბ „პეტრარკაში" სამი თვით აპირებს გადასვლას.

ნიკო ვეფხვაძე

### საფრანგეთი ავსტრალიაში

I თამაში. 10.06. მელბურნი. ვიქტორია 13 (8) (2ლ, ს) — საფრანგეთი 65 (34) (11ლ: დურთი 3, ვიარი 2, კასტენიედი, ლამეზონი, ბონდიუი, ოკანი, მანი, რასში; 5გ: დურთი)

II თამაში. 13.06. კანბერა. დედაქალაქი 22 (15) (3ლ: ნოქსი, ფენუკიტაუ, საჯარიმო; 2გ და ს: ნოქსი) — საფრანგეთი 31 (19) (5ლ: სადურნი 2, ბერნა-სალი, ბენაზი, ვანდიტი; 3გ: ლამეზონი)

საფრანგეთი: სადურნი; ბერნა-სალი, ლამეზონი, კასტენიედი, ვანდიტი; პენო, კარბონო — კალიფანო, დალმაზო, ტურნერი; ბრუზე, მერლი; ბენაზი (კაპ), ლივრმონი, პელუ (ტოროსიანი, დურთი, მანი, მიორენი, კაზადე, იბანესი)

III თამაში. 17.06. ბრისბენი. ქვინზლენდი 24 (9) (2ლ: მიკინალი, გები; გ: მანდრუსიაკი; 4ს: ფლეთლი 2, მანდრუსიაკი 2) — საფრანგეთი 34 (22) (5ლ: ვიარი, ბრიუკი, დურთი, იბანესი; 3გ და ს: დურთი)

ოდინდელთა სერიალი. III თამაში. 14.06. სიდნეი. ახალი სამხრეთი უელსი 33 (10) (4ლ: ედმონდსი, ფინაუ, ბოუენი, ქემფიზი; 2გ: ედმონდსი, ბოუენი; 3ს: ედმონდსი) — ქვინზლენდი 9 (6) (3ს: მანდრუსიაკი)

## საქართველოს პირველობა

# სინის გამო იოლად მორიგდნენ

საქმე აშკარად უკეთესობისკენ მიდის — ამერის მოწინავე კლუბები შეამხანაგდნენ და იმდენადაც შეხმატკბილდნენ, რომ თავიანთ წრეში თავად იკისრეს წესრიგის დამყარება: ამიერიდან თვითონ გაუძღვებიან „სარბიელის სინის" გათამაშებას. საამისოდ მომავალ ორ კვირაში ამ გარდამავალი ჯილდოს დებულებაში შესატანი ცვლილების საზიაროდ განხილვასა და დამტკიცებასაც კი აპირებენ.



ასევე იოლად მორიგდნენ სინის მფლობელი – ქვეყნის პირველობის ერთპიროვნული ლიდერი „ყოჩები" და სინის მორიგი მოცილე – რკინიგზის „ქორები" იმაზე, რომ სინის XIV გათამაშება, რომელიც პირველად იმართება უ-„გუმარ"-ოდ,

ხვალ, პარასკევს, 20 ივნისს,
საღამოს 7 საათზე დაიწყოს მაკის სტადიონზე

### ყველა სინი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1995** | | | | | | | | |
| 1 | 28 IV | გუმარი | 26 | 3ლ | – | თბილისი | 11 | ლ |
| 2 | 9 V | გუმარი | 17 | ლ | – | თბილისი | 17 | ლ |
| 3 | 13 VI | გუმარი | 31 | 4ლ | – | ყოჩები | 13 | ლ |
| 4 | 20 VI | გუმარი | 31 | 3ლ | – | თბილისი | 13 | 2ლ |
| 5 | 25 X | თბილისი | 16 | 2ლ | – | გუმარი | 14 | ლ |
| 6 | 31 X | გუმარი | 14 | ლ | – | თბილისი | 6 | * |
| **1996** | | | | | | | | |
| 7 | 11 V | ყოჩები | 15 | * | – | გუმარი | 6 | * |
| 8 | 2 IX | გუმარი | 13 | ლ | – | ყოჩები | 6 | * |
| 9 | 5 X | გუმარი | 17 | 2ლ | – | ქორები | 0 | * |
| 10 | 10 X | გუმარი | 21 | * | – | ყოჩები | 9 | * |
| 11 | 18 XI | ყოჩები | 16 | ლ | – | გუმარი | 13 | ლ |
| 12 | 2 XII | გუმარი | 30 | 4ლ | – | ყოჩები | 13 | ლ |
| **1997** | | | | | | | | |
| 13 | 7 VI | ყოჩები | 31 | 2ლ | – | გუმარი | 12 | * |

* ულელოოდ

გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ **უცხოურ** ჩოგბურთზე, კალათბურთზე, კრივზე, მძლეოსნობაზე, ველოსპორტსა და თხილამურობაზე წერის **მსურველებს.**

მოგვმართონ **მხოლოდ** მათ, ვისაც **ქართულად** ნათლად შეუძლია წერა, ერკვევა **სპორტის** ხსენებულ სახეობებში და **რიგიანად** იცის ინგლისური.

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

EUROSPORT

დღეს, ხუთშაბათს, 19 ივნისს

11.30 გოლფი: ქალთა ევროპული ტური. ლოზანიდან (შვეიცარია); 12.30 ველორბოლა: შვეიცარიის ტური; 13.30 ფეხბურთი: ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა (რ); 14.30 ავტო-ჟურნალი „ძრავები"; 16.00 (პ) ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველობა. სამხრეთი აფრიკა — ბრაზილია; 16.15 (პ) ველორბოლა: შვეიცარია; 19.30 (პ) ველორბოლა: კატალონიის ტური; 20.00 (პ) ჩოგბურთი: პაინეკენის თასი. როზმალენიდან (ჰოლანდია); 21.30 ველორბოლა: კატალონია; 22.00 სუმო (იაპონური ბლლარძუნი): ბაშოს ტურნირი. ტოკიოდან; 23.00 აერობიკა: ერთა თასი. ესენიდან (გერმანია); 24.00 ტანთქანდაკება (ბოდი-ბილდინგი). ევროპის პირველობა. მინსკიდან; 1.00 ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველობა (რ); 2.00 ბუნიკობანა (დართსი): მსოფლიო პირველობა. ჩიკაგოდან; 3.00 აფროსნობის ჟურნალი; 3.30 ჩოგბურთი: ვაჟთა პროფტურზე (მ); 4.00 ველორბოლა: შვეიცარია (4.30-მდე)

ხვალ, პარასკევს, 20 ივნისს

11.30 აფროსნობის ჟურნალი; 12.00 ჩოგბურთი: პროფტურზე; 12.30 ველორბოლა: შვეიცარია; 13.30 ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველობა (რ); 14.30 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები; 15.30 სატვირთო მანქანების რბოლა; 16.00 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 17.00 (პ) ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველობა. არაბთა გაერთიანებული საამიროები — ინგლისი; 19.00 (პ) ველორბოლა: შვეიცარია; 19.30 (პ) ველორბოლა: კატალონია; 20.00 (პ) ჩოგბურთი: პაინეკენი; 21.30 ველორბოლა: კატალონია; 22.00 (პ) გორგოლაჭიანი ჰოკეი: მსოფლიო პირველობა. ავსტრიიდან; 23.00 ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველობა. არგენტინა — კანადა; 1.00 იგივე (რ); 2.00 გოლფი: ქალთა ტური. საფრანგეთიდან; 3.00 ფეხბურთი: ლეგენდები; 4.00 რბოლა ყინულეთში (4.30-მდე)

(მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90

## გოლფი

ყარაჩიდან კვლავ შეგვეხმიანა ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ხელოვნებათმცოდნე, ქველმოქმედი და უცხო ხილთა ტრფიალი

ჟაფლან ჟანდიერი



მსოფლიო სპორტის შორეული ქომაგის ელექტრო-ბარათები

E-mail



გოლფი ჩოგბურთი არაა. ეს, იმედია, კარგად მოგეხსენებათ, რადგან ჩემი ძველისელი კორესპონდენტი თენგიზ არტამონოვის ცნობით, დედაქალაქში, თბილისის ზღვაზე დაგიარსებიათ გოლფ-კლუბი, რომელსაც ვასილ აზრახაძე უძღვება. ჭორად ჩემამდე იმანაც მოაღწია, რომ ბათუმშიც დიდი საგოლფო აღმშენებლობაა. ამეების მცოდნე, აბა, რას მოვისვენებდი, წლის მეორე „მეიჯორის" (მთავარი ტურნირის) — აშშ-ის ღია პირველობის ამბავი რომ არ მეამბნა მკითხველისათვის.






97-ე „იუ-ეს-ოპენს" მასპინძლობდა ვაშინგტონის შემოგარენში მდებარე დაბა ბეთესდას (მერილენდის შტატი) „კონგრეშენალ ქანთრი კლაბი". იქაური 18-ორმოიანი გზის სიგრძე 7 213 იარდია, „პარი" (ნორმა — გზის ერთხელ გავლის სანიმუშო შედეგი) — 70 დარტყმა. გზა ერთობ რთულად მიიჩნევა, რადგან სალაღო მონაკვეთები („ფეარვეიზ") ვიწრო აქვს, ჯაგნარი („რაფ") კი — ხალვათი.

ზემოთ ტყუილად როდი შევნიშნე, გოლფი ჩოგბურთი არ გეგონოთ-მეთქი. დიდ ჩოგბურთელებს ათობით, ძალზედ დიდებს კი ასზე მეტი ტურნირი აქვთ მოგებული. გოლფში ისე ძნელია არათუ პირველობა, არამედ პირველ ათეულში სტაბილურად მოხვედრა, რომ მსოფლიოს პირველ მეგოლფეს, ავსტრალიელ „თეთრ ზვიგენ" გრეგ ნორმანს მხოლოდ 16 ტიტული აქვს მოხვეჭილი. სამაგიეროდ, წლის პირველი „მეიჯორის" — აშშ-ის საოსტატოს გამარჯვებულს, ნორჩ გენიოსს, მოზანგო თაიგერ ვუდზს 18 პროფ-ტურნირიდან ხუთი მოუგია, რაც ფენომენალური შედეგია.

ბეთესდაში თაიგერს არაფერი გამოუვიდა: პარზე 6-ით უარესი, 286 გახერხა, XIX ადგილი გაიყო და 31 915US$ იკმარა. სამაგიეროდ, ჩემპიონ ერნი ელსს 465 ათასი ერგო.

ელსი 27 წლისაა. სამხრეთი აფრიკის უდიდეს ქალაქ იოჰანესბურგელია, მაგრამ აშშ-ის პროფ-ტურზე თამაშობს და შინ იშვიათადაა. კარიერაში სამად-სამი შეჯიბრი მოუგია, მაგრამ აშშ-ის პირველობაზე წელს მეორედ გაიმარჯვა! ზორბა ერნის პირველი ტრიუმფი 1994 წელს იყო, როცა მან პლეი-ოფში დაამარცხა შოტლანდიელი ქოლინ მონთგომერი.

ბოლო, IV წრეში ელსი წყვილად ისევ „მონთისთან" თამაშობდა. მანამდე, ხუთშაბათს, სქოთმა I წრეში საუკეთესო, პარზე 5-ით უკეთესი შედეგი გახერხა. პარასკევსა და შაბათს გაწვიმდა, რის გამოც II და III წრეები ორ-ორ დღედ გაიწელა. შუა შეჯიბრის სხეპვა („ქათ") 84 მოთამაშემ დაძლია. ზლუდე მონაწილეთა დონისთვის შეუფერებელი — პარზე 7-ით უარესი იყო.

ბოლო წრის წინ ბრიტანეთის ჩემპიონი, ამერიკელი თომ ლეიმანი ორი დარტყმით უსწრებდა ელსსა და ამერიკელ ჯეფ მაგოთს, სამით — მონთგომერის, მაგრამ უკვე XI ორმოზე ოთხივე პრეტენდენტს ერთნაირი — პარზე 4-ით უკეთესი შედეგი ქონდა. ელსის მეტოქეებს ბოლოსწინა, XVII ორმოზე შეემთხვათ მარცხი და ჩამორჩნენ. ამ მომენტის როიტერ-ისეულ ფოტოზე ლეიმანი მაგოთს ანუგეშებს.

აფრიკელმა იმარჯვა: ბოლო ორმოსკენ ბურთი ოთხი ფუტიდან ზუსტად გააგორა და საყვარელი ლიზლ ვემაიერი თასიანად გადაკოცნა.

ელსი -4 (276: 71 67 69 69) 465 000 US$; მონთგომერი -3 (277: 65 76 67 69) 275 000 US$; ლეიმანი -2 (278: 67 70 68 73) 172 828 US$; მაგოთი +1 (281: 73 66 68 74) 120 454 US$

ჟანდიერის მისამართია
Qaflan@
HuzLiBab.edu.pk

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29